# საქართველოს რესპუბლიკა

კვირა, 29 თებერვალი, 2004 წელი

№50 (4779)


## ინფორმაცია

### პრეზიდენტი ამერიკიდან დაბრუნდა

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის 6-დღიანი ვიზიტი ამერიკაში გუშინ დასრულდა.

განათლების მინისტრის კახა ლომაიას განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტისადმი და ნოემბრის მოვლენებისადმი აშშ-ს ინტერესმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

შს მინისტრის გიორგი ბარამიძის თქმით კი, მიხეილ სააკაშვილს ამერიკის მთავრობა საკმაოდ თბილად შეხვდა. „შეხვედრებზე იყო სერიოზული, ღრმა შინაარსის საუბრები საქართველოს მომავალთან დაკავშირებით. ყველა შეხვედრაზე პირდაპირ ითქვა, რომ საქართველოს წარმატება ეს არის ამერიკის წარმატება, იმ თვალსაზრისით, რომ ეს არის დემოკრატიის გამარჯვება“ — აღნიშნა ბარამიძემ.

როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი თედო ჯაფარიძე აცხადებს, ვიზიტისას სააკაშვილს 2 ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიება ჰქონდა — ამერიკის პრეზიდენტთან შეხვედრა, სადაც განხილული იყო ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები, რეგიონული საკითხები და სტაბილურობა, ტერორიზმთან ბრძოლა, ნავთობსადენის უსაფრთხოება და სხვა. მისი თქმით, ასევე მნიშვნელოვანი იყო სააკაშვილის უშიშროების საბჭოს სხდომაზე გამოსვლა, სადაც მან საპროგრამო სიტყვა წარმოთქვა. ამ პროგრამაში, ჯაფარიძის განცხადებით, სააკაშვილმა ახალი მოსაზრებები ჩამოაყალიბა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით.

### ჟურნალისტთა სახლში ჟურნალისტი სცემეს

გუშინ ჟურნალისტთა სახლის წინ ტელეკომპანია „იბერიის“ კორესპოდენტი ლევან ცალუღელაშვილი და ოპერატორი გოჩა ნემსაძე სცემეს.

ლევან ცალუღელაშვილის განცხადებით, იგი ჟურნალისტთა ფედერაციასთან გამართულ აქციას აშუქებდა და მეორე მხარის, ფედერაციის თავმჯდომარის აკაკი სიხარულიძის ჩაწერის მიზნით ჟურნალისტთა სახლში შესვლა სცადა. მის ამ მცდელობას გაურკვეველი პირების მიერ მასზე ფიზიკური ძალადობა მოჰყვა.

ინტერ-პრესი.

## დღის განწყობილება



გაზაფხული მობრძანდა ყვავილებით და სიყვარულით.

ჯემალ კასრაძის ფოტო.

## თვალსაწიერი

### „ამბოხება გემბანზე“

აჰა, მიიწურა ზამთარი ჩვენი მღელვარებისა. ხვალ გაზაფხული შემობრძანდება და ახალ თავსატეხსა და საფიქრალს გაგვიჩენს.

რაც მთავარია, უკვე ყუაზე დავიდა დათქმული ვადა — ერთ თვეში ახალი პარლამენტიც გვეყოლება და ამრიგად შეიკვრება სახელისუფლებო წრე: პრეზიდენტი-პარლამენტი-მინისტრთა კაბინეტი.

ბოლო მოეღება ნახევარფაბრიკატ საკანონმდებლო ორგანოს, რომელმაც, რაც შეეძლო, მაქსიმალურად დაასხა ლაფი ქართულ პარლამენტარიზმს და ამომრჩეველს სულ საკუთარი იდაყვები დააკბენინა მისი არჩევისთვის.

მაგრამ იქნება კი ახალი პარლამენტი უკეთესი? კიდევ ხომ არ მოგვიხდება ლოჯების გაშიშვლება იმედის გაცრუების, უილაჯობისა და ჩვენი მოუწესრიგებლობის გამო?

ანუ, ქართულ პოლიტიკაში ახალი ერა დაიწყო — არჩევნებისწინარე პერიოდი.

იხ. მე-2 გვ.

## კონტაქტები

### გიგი წერეთელი ვიზიტით კმაყოფილია

ჯანდაცვის მინისტრი გიგი წერეთელი კმაყოფილი დაბრუნდა დუბლინიდან, სადაც აივინფექცია შიდსის თემაზე კონფერენცია გაიმართა. კონფერენციაზე მიღწეული შედეგების შესახებ მინისტრმა გუშინ სპეციალური პრესკონფერენცია გამართა.

დუბლინში 23-24 თებერვალს გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე „თანამშრომლობა აივინფექცია შიდსის წინააღმდეგ ბრძოლაში ევროპასა და ცენტრალურ აზიაში“ ჯანდაცვის მინისტრი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან და შიდსის ცენტრის ხელმძღვანელთან ერთად იმყოფებოდა.

კონფერენციაზე მიღებული იქნა ძირითადი დოკუმენტი — „დუბლინის დეკლარაცია“, რომელიც სახელმწიფოთა ხელმძღვანელებს ავალებს თავის თავზე აიღონ პასუხისმგებლობა ქვეყანაში შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

ინტერ-პრესი.

## ფაქტი

### საზღვრის ახალი შეფი ჩრდილოეთიდან იწყებს

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ახალი თავმჯდომარე ბადრი ბიწაძე მომავალ კვირას საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩრდილოეთ მონაკვეთს მოინახულებს.

როგორც „ინტერ-პრესს“ სასაზღვრო უწყების პრეს-სამსახურში განუცხადეს, ბადრი ბიწაძე დეპარტამენტის სხვა ხელმძღვანელებთან ერთად ჩეჩნეთისა და ინგუშეთის სასაზღვრო პერიმეტრს ეწვევა და არსებულ მდგომარეობას ადგილზე გაეცნობა.

ინტერ-პრესი.

## გიხაროდენ!

### ახე ნანატრი გოგონა



ძვირფასო რედაქცია, მინდა ჩემი ოჯახის სიხარული გაგიზიაროთ. მე და ჩემი მეუღლე თიკო გაბისონია თანაკლასელები ვართ და სკოლის დამთავრების შემდეგ დავქორწინდით. ერთად ყოფნის სიხარულს უშვილობა გვიფერმკრთალებდა. პატარას ლოდინში მთელი ოთხი წელი მიილია. 26 თებერვალს კი ჩვენი პირველი შვილი, კალმით ნახატი გოგონა დაიბადა. მას ადრევე ნაოცნებარი სახელი კესო დავარქვით.

თქვენი გაზეთის იმ ნომერს, რომელშიც ჩვენი გოგონას შესახებ დაბეჭდავთ, სასოებით შევინახავთ. დიდი მადლობა.

სანდრო თავაძე.

თიკო და სანდრო, პირველი შვილის შეძენას გილოცავთ. კიდევ მრავალი შვილის დაბადება გეზეიმოთ. სიხარული და ბედნიერება ნუ მოგკლებოდეთ!

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

## ინტერვიუს ნაცვლად

### გუშინ რამაზ ჩხიკვაძის დაბადების დღე იყო

ეს ხდება ყოველ წელიწადს: 28 თებერვალს დიდი ქართველი მსახიობის რამაზ ჩხიკვაძის დაბადების დღეა.

ბოლო წუთამდე ინტერვიუს ჩამორთმევის იმედს არ ვკარგავდით, მაგრამ ვერა და ვერ გავტეხეთ — არც საიუბილეო თარიღია და არც მინდა, ხალხს თავი მოვაბეზროო.

ჩვენ კი სხვას ვფიქრობდით...

ეჰ, ბატონო რამაზ, ნეტავ არ ეთქვა თქვენს აზდაკს — მე ქრთამს ვიღებ! ნეტავ ამოგეღოთ ეს ფრაზა ბრეჰტის „კავკასიური ცარცის წრიდან“, — სპექტაკლს არაფერი დააკლდებოდა, ჩვენი ელიტარული საზოგადოება კი, რომელმაც დაგიჯერათ, „შავი“ ფულის კეთებას — ქრთამის აღებას არ მიჰყოფდა ხელს, კორუფციის ჭაობსა და ჭყანტობში არ აღმოვჩნდებოდით.

რა ვქნათ ახლა?



აზდაკი არ იტყვის ქრთამს არ ვიღებო, ჩვენც ვერ გადავეჩვევით მიჩვეულს.. თუმცა ძალიან ვცდილობთ.

ზოგჯერ — ნამეტანსაც.

გილოცავთ დაბადების დღეს!

## ინტერპანორამა

როგორც ტელეკომპანია NBC ოფიციალური წყაროს დაუსახელებლად იუწყებოდა, გუშინ დილით გავრცელებული ცნობა „ალ ყაიდას“ ლიდერის, სამყაროს ნომერ პირველი ტერორისტის უსამა ბენ ლადენის დაპატიმრების შესახებ, სინამდვილეს არ შეესაბამება.



ისრაელის არმიამ პალესტინის ქალაქ ბეითხაუნში მიწასთან გაასწორა 120 სავაჭრო წერტილი. ისრაელთა მონაცემებით, ამ სავაჭრო პუნქტების ქვეშ მოწყობილი იყო სპეციალური გვირაბი, სადაც ტერორისტები იარაღს ინახავდნენ და, საჭიროების შემთხვევაში, თავსაც აფარებდნენ.



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

სახელმწიფო

საქართველოს რესპუბლიკა

№ 50, კვირა, 29 თებერვალი, 2004 წელი.

## თვალსაწიერი

# „ამბოხება გემბანზე“

(პირველი გვერდიდან)

იგი ყველაზე ქანცგამცლელი იქნება ჩვენი პოლიტიკოსებისათვის, რომლებიც შარვალაკაპიწებული გამოდიან ამომრჩევლებზე სათევზაოდ და ელექტორატისათვის, რომელიც ქაფშიის ქარავანივით გულგახეთქილი აწყდება ერთი ნაპირიდან მეორეს და დახარბებული მოხელავეებისაგან თავის შეფასებას ცდილობს.

თუ სახელისუფლებო პარტიას, ფაქტობრივად, ფეხის დაუსველებლად, კომფორტულ ნავში მჯდომს, რომელსაც წინ დაკუნთული მეხოფეები მიაქანებენ, შეუძლია გაშალოს ბადე, ოპოზიციას მძიმე მდგომარეობა აქვს, წელამდე წყალ-წყალ უნდა იხელაოს, თანაც სულ თითო-თითოდ უნდა ჩაყაროს ანკესები, რადგან ბადის გაშლას და ამოღებას მარტოხელა კაცი ნაკლებად ახერხებს.

ოპოზიციამ, რომლის შანსები არც თუ მაღალია, როგორც მოსალოდნელი იყო, გაერთიანება ვერ შეძლო.

ვერ შეძლო და თავის თავს დააბრალოს.

მემარჯვენეები (ისევე, როგორც მემარცხენეები) თავის მხრივ იყოფიან გაღმელ მემარჯვენეებად, გამოღმელ მემარჯვენეებად, ზემოურ მემარჯვენეებად და ქვემოურ მემარჯვენეებად.

გაღმა-გამოღმელ მემარჯვენეებმა ედპ-მ და ტრადიციონალისტებმა საერთო ენა, ყველასდა გასაკვირად, გამონახეს, ასევე — ქვემოურ-ზემოურებმა მრეწველებმა და ახალმა მემარჯვენეებმა, მაგრამ საბოლოოდ ოთხივეს ერთმანეთთან მისასვლელად, როგორც ჩანს, არც დენთი და არც სურვილი არ ეყო.

ასევე მემარცხენეებს: ლეიბორისტებს, სოციალისტებს...

ასევე სხვა ისტებს...

ისინი „ვარდების რევოლუციის“ დროს დაკარგული რეიტინგის, იმიჯის, სახელის, ავტორიტეტის აღდგენას ხელისუფლების შეცდომების ხარჯზე ცდილობენ. სწორედ ეს არის მათი მთავარი კოზირი და ამით აპირებენ ამომრჩევლის მონადირებას.

ისინი თავიანთ ელექტორატად მოიაზრებენ ახალი ხელისუფლების მიერ განაწყენებულ ბიზნესმენებს, საკადრო ცვლილებების შემდეგ შემცირებულ ადამიანებს, უმუშევრებს, რომლებმაც ჯერაც ვერ მიიღეს (და, ალბათ, კარგა ხანს კიდევ ვერ მიიღებენ) სამუშაოს, პენსიონერებსა და მცირეხელფასიანებს, რომლებსაც ჯერაც ვერ მოუმატეს პენსია-ხელფასი, გარემოვაჭრეებს, რომლებსაც გარევაჭრობის საშუალება წაერთვათ, ხელმოკლე გლეხებს და ა.შ.

ეს ოპოზიციის ჩამონათვალია. მისივე თქმით, იგი სწორედ ამ კატეგორიის ხალხზე ჩამოდის ფსონს.

რამდენად გაჰყვება მას ეს „რევოლუციური მასა“, არ ვიცი, მაგრამ თვით პარტიები კი იმედიანად არიან, ყოველ შემთხვევაში, მტრის გულის გასახეთქად მაინც.

ოპოზიცია ვერა, მაგრამ სახელისუფლებო პარტია სწორედ წინა დღეებში გაერთიანდა და დაგვანახა, რომ გამარჯვების ასპროცენტიანი შანსის მიუხედავად, საქმე წინ წაიგდო და თავის გარშემო შემოიკრიბა „ვარდების რევოლუციის“ მთელი ავანგარდი.

ოღონდ, ეს კია, პარტიის გაერთიანებისთვის იოლი არ აღმოჩნდა საარჩევნო პოლიტიკური სიის შედგენა.

იყო მომენტი, როცა სალი კლდის მონოლითი გაიბზარა და კინაღამ სულაც წიბო ჩამოტყდა.

ეს მაშინ, როცა სახელისუფლებო ბლოკში „კვოტების ომი“ ლამის სამოქალაქო ომად იქცა.

„კვოტამ“ ყველაზე მეტად პარლამენტის თავმჯდომარე დააზარალა, რასაც მისი გულისწყრომა და მკაცრი განცხადებები მოჰყვა.

ჯერ იყო და სააკაშვილმა უარი თქვა, სიის 130 ადგილი თანაბრად (50-50 პროცენტი) განაწილებულიყო ნაცმოძრაობასა და ბურჯანაძე-დემოკრატებს შორის და შეუვალად დაადგინა: 60 პროცენტი — ნაცმოძრაობას, 40 პროცენტი კი — ბურჯანაძეს და დემოკრატებსო.

პრინციპში ეს განაწილება სწორი იყო, რადგან „ვარდების რევოლუციამ“, კაცმა რომ თქვას, ნაცმოძრაობის ზურგზე გადაიარა და, ბუნებრივია, მას უპირატესობაც უნდა მიეღო.

ამიტომ ბურჯანაძე-დემოკრატებმა სააკაშვილისეული განაწილება შედარებით იოლად მიიღეს და... ერთმანეთს შეებნენ, რადგან მიკუთვნებული 40 პროცენტი თანაბრად (20-20 პროცენტი) არ განაწილდა, როგორც პარლამენტის თავმჯდომარე ითხოვდა.

ამასთან, დემოკრატებმა მიიჩნიეს, რომ ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს თავის სიაში ისეთი ხალხი ჰყავდა შეყვანილი, რომლებიც აბსოლუტურად უცხო იყო მათთვის, და მათ გამო პარლამენტს გარეთ უნდა დარჩენილიყვნენ რევოლუციის დამსახურებული ვეტერანები.

26 პროცენტი — დემოკრატებს, 16 პროცენტი — ბურჯანაძეს — ასე განსაჯეს მათ.

ქალბატონი ნინო კვოტის შემცირების გამო შეურაცხყოფილი და განაწყენებული დარჩა, მის მიმართ ამ ქმედებას შანტაჟი და ინტრიგა უწოდა. ამაოდ ცდილობდა დაკავშირებოდა ამერიკაში მყოფ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს.

როგორც მარჩიელობენ, მის უკმაყოფილებასა და შეშფოთებას მარტო კვოტების საკითხი არ იწვევდა (და იწვევს), არამედ საერთო პარტიული სიის № 1 მაია ნადირაძეც, რომელსაც ბევრი პარლამენტის მომავალ თავმჯდომარედ მოიაზრებს, ანუ ვარაუდობს, ქალბატონი ნინო „გადააგდეს“ — მომავალი პარლამენტის შეპირებულ სპიკერობას ხელიდან აცლიანო.

ალბათ, სწორედ ამის გამოძახილია მისი მძაფრი რეაქცია: სურთ ისეთ მდგომარეობაში ჩამაყენონ, რომ ერთ მშვენიერ დღეს განვაცხადო, აღარ მინდა პარლამენტის თავმჯდომარეობა, რადგან ჩემს აზრს ანგარიშს არ უწევენ, ჩემს მოსაზრებებს არ ითვალისწინებენო.

ერთი სიტყვით, ქალბატონი ნინო არც სიების უშუალო შედგენაში ჩარიეს და არც შიდა სამზარეულოში ჩაახედეს. მისი კანდიდატებიდან ამოიღეს გიორგი ხელაშვილის, დავით სალარიძის, ვენედი ბენიძის გვარები...

ქალბატონმა ნინომ კარგად იცოდა, ვის მიმართ უნდა ეთქვა საყვედური და თქვა კიდეც: ძალიან სამწუხაროა, რომ ბატონმა ზურაბმა არ გაითვალისწინა და შეეცადა გამოეყენებინა ჩემი პირადი დამოკიდებულება იმ კონკრეტული ადამიანების მიმართ, რომლებიც სიაში არიანო. მე ვთვლი, რომ უსამართლო გადაწყვეტილებაა, როდესაც 130-კაციან სიაში ბურჯანაძეს კანდიდატურების დაახლოებით მეექვსედი ჰყავს წარმოდგენილიო.

იგი მიიჩნევს, დამჩაგრესო და გაღიზიანებასაც ვერ მალავს: „მე ვთვლი, რომ ბატონ ზურაბს ძირითადად აღმასრულებელ ხელისუფლებაზე უნდა გაეკეთებინა თავისი ყურადღების ფოკუსირება, ხოლო პარლამენტში, ალბათ, ჩემი აზრი უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული. ალბათ კი არა, ნამდვილად ჩემი აზრი უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული, თუ ვისთან ერთად შევძლებდი მე უფრო აქტიურად მუშაობას და იყო თუ არა საჭირო ახალი ხალხი. მე ნამდვილად ძალიან განვცვიფრდი, როდესაც ჩემი სიიდან ამოიღეს ერთ-ერთი საუკეთესო კანდიდატურა“.

მაგრამ ეს განცვიფრება არად ჩააგდეს, მიიჩნიეს, რომ ბოდიშების დრო არ იყო და ნინო ბურჯანაძის პროტესტს მკვეთრი განცხადებებით უპასუხეს. ჩემი და ჩემი მეგობრების პრინციპული პოზიციაა, რომ ასეთი ადამიანების (ბურჯანაძის სიიდან ამოღებული ადამიანების — **ა. ა.**) ადგილი არათუ ჩვენს პარტიულ სიაში, არამედ ქართულ პოლიტიკაში აღარ არის და ის, ვინც ასეთი ადამიანების საკითხს სვამს, ძალიან უხერხულ მდგომარეობაში იგდებს თავსო, — ჩვეულებისამებრ მიუკიბ-მოუკიბავად განაცხადა გიგა ბოკერიამ (თავისუფლების ინსტიტუტი).

მას დაეთანხმა მიხეილ მაჭავარიანიც, იყო შეთანხმება, რომ ნაციონალური მოძრაობის მიერ წამოყენებული პირობები ყველა მოთამაშეს უნდა გაეზიარებინა და დაეცვა, და ჩემთვის გაუგებარია, ნინო ბურჯანაძის პრეტენზიებიო.

საბოლოოდ ძაფი მაინც არ გაწყდა, მოლაპარაკება შედგა და როგორც ბატონმა ზურაბ ჟვანიამ დიპლომატიურად განაცხადა, ქალბატონმა ნინომ კვოტის შიგნით შესწორებები შეიტანა.

ამრიგად „გემბანზე ამბოხება“ ჩაახშეს...

საინტერესოა, რომ აშშ-ში მყოფ მიხეილ სააკაშვილისთვის მოულოდნელობა არ აღმოჩნდა ჟვანია-ბურჯანაძის განხეთქილება. მან თავის კომენტარში მხარი დაუჭირა დემოკრატების მიერ განხორციელებულ „წმენდას“. მე ვითარების კიდევ უფრო გართულებას ველოდი, ველოდით, რომ ხალხი ერთმანეთს დასცხებდა, ერთმანეთს „დახოცავდა“. თუმცა ლიდერებმა სიტუაციის განმუხტვა შეძლეს. დღეს იმდენად მაგარია ჩვენი ერთობა, იმდენად ძლიერია ნაციონალური მოძრაობა, რომ ცოტაოდენი ბუზღუნის გარდა, სიებს სხვა პრობლემა არ შეუქმნია, — თქვა პრეზიდენტმა.

პარლამენტის თავმჯდომარის გასაგონად კი მიანიშნა, გადაწყვეტილებას პარტია იღებს; ჩვენს პარტიაში არის ხალხი, რომელმაც იბრძოლა, რომელმაც ყველაფერი გააკეთა საქართველოს უკეთესი მომავლისათვის და ამ ხალხმა პარლამენტში უნდა გააგრძელოს ბრძოლა. იმ ადამიანებმა კი, ვინც ყველა მთავრობის დროს კარგად იყო, ჰქონდათ ბევრი ფული, გააგრძელონ კარგი ცხოვრება, წინააღმდეგი არა ვარ, ოღონდ მთავრობის და პარლამენტის გარეთო.

ასეთი იყო გასული კვირა. წინ უფრო მძიმე კვირაა. სულ წინ კი 28 მარტია...

**ალეკო ასლანიშვილი.**

## დახმარება

# ფინანსურიც, ტექნიკურიც

**ამერიკა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს როგორც ფინანსურად, ასევე ტექნიკურად დაეხმარება. ამის შესახებ ჟურნალისტებს თბილისის აეროპორტში ამერიკიდან დაბრუნებულმა შს მინისტრმა გიორგი ბარამიძემ განუცხადა.**

მისი თქმით, ვიზიტისას მას შეხვედრები ჰქონდა გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორთან, დაზვერვის ცენტრალური სამსახურის დირექტორთან, ასევე იუსტიციის მინისტრთან. „ყველა მათგანმა სამართალდამცველი ორგანოების მხარდაჭერის სურვილი გამოთქვა. ამერიკელი კოლეგები შსს-ს ოფიცრების გაწვრთნაში და სამინისტროს რეფორმირებაში დაეხმარებიან“ — აღნიშნა ბარამიძემ.

მინისტრის განცხადებით, იგი ვიზიტისას მსოფლიოში ცნობილ ნიუ-იორკის პოლიციის ხელმძღვანელობასაც შეხვდა. „ჩვენ დიდი იმედი გვაქვს, რომ ამერიკის პოლიცია ტექნიკურად დაგვეხმარება. ისინი მანქანებს, ჯავშან-ჟილეტებს და რადიოსადგურებს მოგვაწვდიან“ — განაცხადა ბარამიძემ და იქვე აღნიშნა, რომ მთელი რიგი სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო, ამერიკის მხარეს საქართველოს შსს-სთან აქამდე ურთიერთობა არ ჰქონია.

**ინტერ-პრესი.**

## ნაოსნობა

# ტანკერი „ქიული შარტავა“ პირველ რეისში გავიდა

**გუშინ სამხრეთ კორეის ქალაქ ულსანის პორტიდან ევროპაში პირველი კომერციული რეისის შესასრულებლად გავიდა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში აშენებული პირველი ქართული ტანკერი „ქიული შარტავა“.**

გემის კაპიტანია თეიმურაზ კონცელიძე. ხომალდის პარამეტრებია — სიგრძე 176 მეტრი, სიგანე 131 მეტრი, სიმაღლე 17 მეტრი, წყალჯდომა 10 მეტრი, წყალწყვა 35 ათასი ტონა.

საქართველოს საოკეანო სანაოსნოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელის ავთანდილ გადახაბაძის ინფორმაციით, გემის კაპიტანმა თეიმურაზ კონცელიძემ ამ ტიპის გემების სამართავად კომპანია „საქართველოს საოკეანო სანაოსნოს“ დაფინანსებით სპეციალური მომზადება გაიარა.

მისივე თქმით, პირველი ქართული ტანკერი „ქიული შარტავა“ „ბი-პი“-სა და „შევრონთან“ თანამშრომლობის საშუალებით გადაზიდვების დიდ პროექტებში მიიღებს მონაწილეობას.

**ინტერ-პრესი.**

### ანტიკორუფციული ჯგუფი ტექნიკურ უნივერსიტეტში

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში კორუფციასთან ბრძოლის მიზნით სტუდენტებმა ანტიკორუფციული ჯგუფი შექმნეს.

ახალი გაერთიანების ძირითად მიზანს უნივერსიტეტის ფარგლებში საბუღალტრო-ფინანსური პროცესებისთვის თვალ-ყურის დევნება წარმოადგენს. ანტიკორუფციული ჯგუფი თავისი სამუშაო გეგმის ფარგლებში ტექნიკური უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის ფინანსური დოკუმენტაციის გაცნობას აპირებს. მათ ამ კუთხით რექტორატის მხარდაჭერის იმედიც აქვთ.

ცალკეულ ფაკულტეტებსა და კათედრებზე წარმოებულ ფინანსურ პოლიტიკაში დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში, სტუდენტები მკაცრ რეაგირებას აპირებენ. კერძოდ, ისინი მოპოვებულ მასალებს გააცნობენ პრესას და შესაბამის სამართალდამცველ უწყებებს.

### ბაგრატ შინკუბა სოხუმის პარკში დაკრძალეს

აფხაზეთის ხელისუფლებამ და საზოგადოებამ გუშინ უკანასკნელ გზაზე გააცილა 87 წლის ასაკში გარდაცვლილი აფხაზეთის სახალხო მწერალი და რუსთაველის პრემიის ლაურეატი ბაგრატ შინკუბა.

ბაგრატ შინკუბა, რომელიც რუსთაველის პრემიის ლაურეატობის გარდა, ყაბარდო-ბალყარეთის და ადიღეს სახალხო მწერალი, აფხაზეთის „ღირსებისა და დიდების“ ორდენის კავალერი იყო, მიმდინარე კვირის დასაწყისში — 22 თებერვალს, თავის მშობლიური ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჭლოუში გარდაიცვალა.

ბაგრატ შინკუბას დამკრძალავი სახელმწიფო კომისიის გადაწყვეტილებით, რომელსაც სოხუმის ხელისუფლების პრეზიდენტი ვლადისლავ არძინბა ხელმძღვანელობდა, მწერლის ცხედარი სოხუმის სანაპიროს ერთ-ერთ, შინკუბას სახელობის პარკში დაკრძალეს.

ბაგრატ შინკუბამ ორ თავის თანამოაზრე ახალგაზრდა ისტორიკოსთან მაკრილთან და ძიძარიასთან ერთად, 1947 წელს პირველად მიმართა თხოვნით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობიდან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გამოყვანისა და რუსეთის საბჭოთა სოციალისტურ ფედერაციაში შეყვანის შესახებ.

ბაგრატ შინკუბამ მრავალწლიანი სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობით აფხაზეთის პოლიტიკურ წრეებში აფხაზური სეპარატისტული მოძრაობის ერთ-ერთი ფუძემდებლის ადგილი ღირსეულად დაიმკვიდრა.

### დეტექტიური ჟანრის ფილმების ჩვენება დასრულდა

გუშინ ფილმით „ინსპექტორი ლავარდენი“ დასრულდა კინოს სახლში მიმდინარე დეტექტიური ჟანრის ფილმების რეტროსპექტივა „ყველა ჟანრის დეტექტივი“.

როგორც „ინტერ-პრესს“ საქართველოში საფრანგეთის საელჩოს კულტურის განყოფილებაში განუცხადეს, წარმოდგენილი ფილმები ძირითადად 80-იან წლებშია გადაღებული.

რეტროსპექტივის ფარგლებში ნაჩვენები იყო ფილმები — „რეაფუხა“, „მარკორელის საქმე“, „ქვიშის გამყიდველები“ და „ნეტავი, მალე დადგეს კვირა“.

კინოს სახლში ფილმების ჩვენება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა, თუმცა უახლოეს მომავალში მათი ფრანგულ ენაზე ჩვენებაც იგეგმება. რეტროსპექტივა ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრის ინიციატივით მოეწყო.

**ინფორმაციები მოგვაწოდა ინტერ-პრესმა.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## არ ეთანხმებიან

**„საქართველოს რესპუბლიკის" 24 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში „ვინ თბება გაზით"? მითითებულია, რომ წერილი ეყრდნობა საქართველოს ენერგეტიკის დარგში შექმნილი კრიზისული მდგომარეობის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამომძიებლო კომისიის სპეციალისტის ვახტანგ აფხაზავას განმარტებებსა და დასკვნებს; ეს ჩვენს გაკვირვებას იწვევს, რადგან კომისიას, მისივე მოთხოვნით, თავის დროზე მივაწოდეთ დასახლების გაზიფიცირებასთან დაკავშირებით მასალები და ამომწურავი განმარტებანი მაშინ, რაიმე შენიშვნა ან უთანხმოება არ გამოთქმულა, პირიქით, ჩვენთან განხორციელებულმა გაზიფიცირების ახლებურმა სქემამ და დისტრიბუციის სრულიად განსხვავებულმა მეთოდმა ჩვენი და უცხოელი სპეციალისტების („ტაჰალი") მოწონება და მხარდაჭერა დაიმსახურა.**

**ჩვენთვის გაუგებარია სამაგალითო წამოწყების დისკრეტაციისა და დამახინჯების სურვილი. საკითხის გარკვევისთვის საჭიროა რამდენიმე განმარტება და მცირე ისტორიული ექსკურსი:**

# ბევრჯერ შეგვამოწმეს, მაგრამ დარღვევა ვერ აღმოგვიჩინეს

დიდი დიღმის დასახლების გაზიფიცირების ისტორია 2000 წლიდან იწყება. ეს ის პერიოდია, როდესაც თბილისს ელენერგია თითქმის არ მიეწოდება, მოსახლეობა მასობრივად გამოდის ქუჩაში, გზებსა და მაგისტრალებს კეტავს და სტიქიური ბუნტის დაწყებას არაფერი უკლია. სპეციალისტებთან, ენერგეტიკოსებთან შეხვედრებმა დაგვარწმუნა, რომ პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთი გზა — დასახლების იაფი ბუნებრივი გაზით უზრუნველყოფა — გაზიფიცირებაა. დასახლებაში ამ და სხვა საკითხის მოგვარებისთვის, შეიქმნა მოსახლეობის წარმომადგენელთა კავშირი — სათემო საზოგადოება „დიდი დიღომი".

მივმართეთ ქალაქის მერიას და სს „თბილგაზს". მივიღეთ პასუხი, რომ ისინი სათანადო თანხების უქონლობის გამო, „პერსპექტივაშიც კი უძლურნი არიან, მოახდინონ დიდი დიღმის დასახლების გაზიფიცირება". მოსახლეობასთან შეხვედრაზე გადაწყდა, რომ გაზიფიცირება მოგვეხდინა ჩვენივე დაფინანსებით, რასაც დაეთანხმა თბილისის მთავრობა და შესაბამისი დადგენილებით მიიღო გადაწყვეტილება ჩვენი წამოწყების ხელშეწყობისა და დახმარებისათვის.

დადგინდა, რომ მერია თავის დაფინანსებით (200 ათასი ლარი), შეასრულებდა დასახლების საზღვრამდე მიმავალი, ძველი მაგისტრალური გაზსადენის აღდგენისა, საშუალო წნევის გაზსადენის (4 კმ), კვარტალური გაზმარეგულირებელი პუნქტებისა და გაზის აღრიცხვის სათაო მრიცხველების მონტაჟის სამუშაოებს. მოსახლეობის სახსრებით ფინანსდება კვარტალური გაზმარეგულირებელი პუნქტებიდან, საცხოვრებელ კორპუსამდე მიმავალი დაბალი წნევის გაზსადენის (16 კმ) მშენებლობა და ბინების გაზიფიცირება.

სამუშაოების ღირებულება განსაზღვრულია „თბილქალაქპროექტის" მიერ შედგენილი პროექტითა და სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშებით და ერთ აბონენტზე შეადგენს: საკუთრივ ბინის — 275 ლარს და დაბალი წნევის გაზსადენის მშენებლობაში მისი წილის — 60 ლარს, სულ 335 ლარს.

საგაზეთო წერილში ვ. აფხაზავა განმარტავს, რომ „ერთ ოჯახს, სპეციალისტთა გაანგარიშებით, უნდა გადაეხადა 230 ლარი". ვინ არიან ეს სპეციალისტები და რას ეყრდნობა მათი ე. წ. „გაანგარიშება", ჩვენთვის უცნობია. ასეთი უსაფუძვლო, უაპელაციო და დემაგოგიური განცხადება, უპასუხისმგებლობაზე მიუთითებს და რაღაც დაკვეთას უფრო ჰგავს.

თბილისის მთავრობის ზემოთ აღნიშნული დადგენილების მიღების დროს გადაწყდა, რომ ჩვენვე მოვაგვარებდით დისტრიბუციის პრობლემას და ქალაქის ისედაც მწირ ბიუჯეტს ტვირთად არ დავაწვებოდით. თბილისში ბინების გაზმომარაგების სქემის გაცნობამ, აბონენტებისა და ინკასატორების ურთიერთშეთანხმებით გაზის დატაცებისა და მრიცხველის ჩვენებათა გაყალბების მასობრივად დამკვიდრებულმა პრაქტიკამ, ჩვენთვის ნათელი გახადა, რომ იმ სქემითა და აღჭურვილობით, რომლითაც თბილისის სხვა უბნებში ბინები იქნა გაზიფიცირებული და დისტრიბუციის არსებული მეთოდით (სახელგატეხილი და კორუმპირებული ინკასატორების ინსტიტუტი) დასახულ მიზანს ვერ მივაღწევდით და თბილისს, ჩვენი სახით, კიდევ ერთი არგადამხდელი უბანი დაემატებოდა.

დარგის კომპეტენტური და გამოცდილი სპეციალისტების დახმარებით, ჩვენ შევიმუშავეთ დახარჯული ბუნებრივი გაზის ღირებულების მომხმარებლიდან ამოღების სრულიად ახლებური მეთოდი, რომელმაც მოითხოვა ბინების განსხვავებული სქემითა და აღჭურვილობით გაზიფიცირების დაპროექტება, რაც შეასრულა „თბილქალაქპროექტმა" და უკვე ორწელიწადნახევარია წარმატებით ხორციელდება დიდი დიღმის დასახლებაში.

ჩვენთან მშენებლობა და დისტრიბუცია ხორციელდება ფულის ხელზე აღების გარეშე, თვით მობინადრის მიერ — ბანკში კომპიუტერული ქვითრით თანხის გადახდის გზით, რაც პროცესს სრულ გამჭვირვალობას ანიჭებს, აღკვეთილია შემოსავლების დაფარვა და ხელი ეწყობა ბიუჯეტთან ღია ანგარიშსწორებას. ჩვენი მეთოდი მოწონებულია სახელმწიფო კანცელარიის, სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროსა და საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის სპეციალისტების მიერ, რითაც ხელი შეეწყო მეთოდის დანერგვასა და წარმატებით განხორციელებას.

მუშაობის პრაქტიკულმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მეთოდმა სრულად გაამართლა; მოისპო მრიცხველების ჩვენებათა გაყალბებისა და გაზის დატაცების შემთხვევები, საშუალება მოგვცა დროულად გამოგვევლინებინა და აღგვეკვეთა ქსელში ჟონვითი დანაკარგები; შედეგად მივაღწიეთ დახარჯული გაზის ღირებულების ამოღების 94-97-პროცენტიან ზღვარს.

მეთოდის პროგრესულობაზე მიუთითებს ისიც, რომ მისი ცალკეული ელემენტების (ინკასატორების ინსტიტუტის გაუქმება, საკონტროლო მრიცხველებისა და მისი დაცვის მექანიზმების შემოღება, კომპიუტერული ქვითრები და ფულის ბანკის მეშვეობით გადახდა და სხვა) დანერგვა თბილისის სხვა უბნებში „თბილგაზის" მმართველმა კომპანია „ახალმა მენეჯმენტმა" უკვე დაიწყო და ამ მხრივ სამუშაოებს სწრაფი ტემპით ახორციელებს. ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციით, ანალოგიური სამუშაოები ხორციელდება ბათუმში, ქობულეთში, ზესტაფონისა და ქუთაისის ცალკეულ უბნებში. მსგავსი სამუშაოების ორგანიზება და წარმართვა დაკავშირებულია სამეწარმეო საქმიანობასთან, რის გამოც ჩვენთან შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „დიდი დიღომი". მას აქვს ბუნებრივი გაზის „მიწოდებისა" და „განაწილების" ლიცენზიები.

გაზგამანაწილებელი ქსელისა და ბინებში გაზის აღრიცხვისა და მოხმარების დანადგარების პროფილაქტიკისა და შეკეთების სამუშაოების წარმოებისათვის შპს „დიდ დიღომში" ფუნქციონირებს გაზის მეურნეობა, რომელიც დაკომპლექტებულია სათანადო კვალიფიკაციისა და გამოცდილების სპეციალისტებით, სხვა მუშაკებით. დისტრიბუცია ხორციელდება მეთვალყურე-წამკითხველების ახლადდანერგილი ინსტიტუტით, კომპიუტერული ცენტრის ოპერატორებითა და მენეჯერ-დისტრიბუტორებით. მათი ხელფასების, მასალების ღირებულების, სხვა დანახარჯებისა და გადასახადების გადახდა გათვალისწინებულია, სემეკის მიერ ჩვენთვის დამტკიცებულ, ბუნებრივი გაზის საცალო (1000 კუბ. მეტრზე — 270 ლარი) და საბითუმო (207 ლარი) ფასებს შორის სხვაობა — 63 ლარში, რაც დასახლებაში მოხმარებული გაზის მცირე რაოდენობის (2003 წელში — 781, 3 ათასი კუბ. მეტრი) მეტად მცირეა და ჯერჯერობით ხარჯების სრულად დაფარვის საშუალება არ გვეძლევა.

ვ. აფხაზავა, საგაზეთო წერილში გაანგარიშებას სხვაგვარად წარმოადგენს და „თბილგაზის" ზარალზე მიუთითებს. ფაქტობრივად კი მდგომარეობა ასეთია:

„თბილგაზი" მომწოდებლისგან გაზს იძენს 194 ლარად (1000 კუბ.მეტრი), ხოლო ჩვენ გვაწვდის 207 ლარად, ე. ი. ჩვენთვის მოწოდებულ ყოველ 1000 კუბ.მეტრ გაზში, „თბლგაზს" დისტრიბუციისა და საექსპლოატაციო დანახარჯების გაწევის გარეშე, რჩება 13 ლარი. დანაკარგების 60-70 პროცენტის არსებობის პირობებში, გაბერილი საშტატო განრიგისა (გათვალისწინებულია მომუშავეთა 500 ერთეულით შემცირება) და სხვა არარაციონალური დანახარჯების გამო, „თბილგაზის" ანგარიშებში, 1000 კუბ. მეტრი გაზის თვითღირებულება შეიძლება იყოს 234 ლარი, რასაც ვ. აფხაზავა თავის წერილში ხაზს უსვამს, მაგრამ არა ჩვენთვის მოწოდებული გაზისა, რადგანაც გაზი მოგვეწოდება და აღირიცხება დასახლების დასაწყისში; გაზმომარაგების შიგაკვარტალური ქსელისა და დისტრიბუციის ე. წ. კომერციული დანაკარგები „თბილგაზს" არ ეხება და მის თვითღირებულებაში გათვალისწინებული ვერ იქნება. თუ დავუშვებთ, რომ თბილისის სხვა უბნებიც დიდი დიღმის დასახლების ანალოგიურად იქნება მოწყობილი, მაშინ „თბილგაზი" ყოველ მილიონ კუბ. მეტრ გაზში, მისი საფასურის გადახდის შემდეგ, ძირითადი დანახარჯების გაწევის გარეშე, მიიღებს 13 ათას ლარს, ხოლო 200 მილიონში (წლიური საშუალო ხარჯი) — 2,6 მილიონ ლარს, ე. ი. „თბილგაზი" წამგებიან და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფიდან — მომგებიან საწარმოდ გადაიქცევა.

ჩვენი ექსპერიმენტი ხელშესახები მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება ენერგეტიკაში ყველაზე მტკივნეული საკითხის — დისტრიბუციის მოგვარება და ამ მხრივ პრობლემების მოხსნა. სხვათა შორის, ჩვენს მიმართ არაერთხელ გამოითქვა უსაფუძვლო ბრალდებები და ეჭვები. მრავალმა კომისიამ შეისწავლა ფაქტობრივი მდგომარეობა და რაიმე დარღვევა ვერ აღმოაჩინა.

ფაქტების დამახინჯება და ჩვენი დისკრედიტაციის მცდელობა არ გვაღელვებს, დიდი ვაჟასი არ იყოს: „ცუდას რად უნდა მტრობა, კარგია მუდამ მტრიანი".

**პატივისცემით,**

**ავთანდილ იმნაძე,**
**სათემო საზოგადოება „დიდი დიღმის" თავმჯდომარე;**

**ჯემალ წერეთელი,**
**შპს „დიდი დიღმის" დირექტორი.**

## სასამართლო

# გია ჯოხთაბერიძის მიმართ წინასწარი სამთვიანი პატიმრობის შეფარდება ძალაში დარჩა

**პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის სიძის, კომპანია „მაგთიკომის" ერთ-ერთი დამფუძნებლის გია ჯოხთაბერიძისთვის წინასწარი სამთვიანი პატიმრობის შეფარდების თაობაზე კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ჯოხთაბერიძის ადვოკატმა გიორგი ყავლაშვილმა თბილისის საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა. გუშინ საოლქომ რაიონულის გადაწყვეტილება ძალაში დატოვა, მიუხედავად იმისა, რომ ოჯახი მზად იყო გირაოდ 2 მილიონი ლარი გადაეხადა.**

საოლქო სასამართლოს ეზოში დილიდანვე შეიკრიბნენ გია ჯოხთაბერიძის მხარდამჭერები, მისი ახლობლები, ოჯახის წევრები, კომპანია „მაგთიკომის" თანამშრომლები, აფხაზეთიდან დევნილები.

— გია ჩვენს თვალწინ გაიზარდა, მისი მშობლები — საქართველოს დამსახურებული პედაგოგი ნელი გვილავა და სოხუმის ქალაქკომის ყოფილი პირველი მდივანი გობრონ ჯოხთაბერიძე გამოირჩეოდნენ პატიოსნებით, სისადავითა და კეთილშობილებით. გია თავისი ოჯახის ღირსეული წარმომადგენელია. მას შემდეგ, რაც აფხაზეთი იძულებით დაგვატოვებინეს, მისი ყურადღება არ მოგვკლებია. იგი ყოველთვის ჩვენს გვერდით იდგა. უამრავი ადამიანი დაგვასაქმა, ახალი კვალიფიკაცია მოგვცა, რათა გვეარსება, ამან მრავალი ჩვენგანი შიმშილით სიკვდილს გადაარჩინა, — ამბობენ, გია ჯოხთაბერიძის მხარდასაჭერად მოსული აფხაზეთიდან დევნილები **როზა მეშველიანი, გულიკო მიქაუტაძე, ლალი ბებია.**

— აღშფოთებული ვართ იმ კამპანიით, რომელიც მისი სახელისა და მოღვაწეობის შესალახად გაჩაღდა. სად გაიქცეოდა, ოჯახს, დედას მიატოვებდა? ჩვენზე ყურითმოთრეული ბრალდებები გავლენას ვერ მოახდენს, ჩვენ მას ბავშვობიდან ვიცნობთ და მისი გვჯერა, — აცხადებენ სკოლის ამხანაგები **ეთერ თოლორდავა, მარინა ჩაჩუა, მანანა ნარსია, ირინა სიჭინავა, იური ორჯონიკიძე.**

დრო და დრო გაისმოდა სკანდირება: „გია, გია..."

— გვეამაყება, რომ „მაგთიკომის" თანამშრომლები ვართ, გვეამაყება, რომ გია ჯოხთაბერიძესთან ვმუშაობთ. ის ძალიან მომთხოვნი, მკაცრი, სამართლიანი ხელმძღვანელია. ეს უძლიერესი კომპანიაა. ადამიანი, რომელიც ყოველწლიურად ქველმოქმედებისთვის 3 მილიონ ლარს ხარჯავდა, სახელმწიფოს 700.000 ლარს დაუმალავდა? — წუხან „მაგთიკომის" თანამშრომლები **მარინა ზულიაშვილი და თეა მხეიძე.**

ყველას უნდოდა, რაღაც ეთქვა. ეს ადამიანები დარწმუნებული არიან, რომ ჯოხთაბერიძის მიმართ გარკვეულ ძალებს პირადი ანგარიშსწორება ამოძრავებთ.

მანანა შევარდნაძე: — გიას თანამშრომლების გულისტკივილი არც ერთმა ტელეარხმა არ გადასცა. ჟურნალისტებს არ ვადანაშაულებ: ისინი აქ ყველას გაესაუბრნენ, მაგრამ ეთერში მაინც რატომღაც არ გავიდა. ამ კოლექტივში ძალიან ინტელექტუალური ხალხი მუშაობს. მათი მომზადების დონე საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება. კომპანიას დაარსების დღიდან სახელმწიფო ბიუჯეტში 150 მილიონი ლარი აქვს შეტანილი. „მაგთიკომით" დაფარულია ქვეყნის დასახლებული ტერიტორიის 96 პროცენტი, მათ შორის, მაღალმთიანი რაიონები, სადაც კომპანია მხოლოდ წაგებაზე მუშაობდა. როუმინგი მსოფლიოს 58 ქვეყანაში აქვს. დღეისათვის „მაგთიკომს" 350 000 აქტიური აბონენტი ჰყავს. ეს არის გიას წინააღმდეგ პოლიტიკური დაკვეთა, რათა მას თავისი წილი, 51 პროცენტის გაყიდვის უფლება არ ჰქონდეს. მინდა გითხრათ, რომ ქართული და საერთაშორისო საზოგადოების ძალიან დიდი იმედი მაქვს. ნელ-ნელა ყველაფერი გაირკვევა. დღეს ჩვენ ჩამოყალიბებული ქვეყანა ვართ და იმ ავადსახსენებელ წლებში ვერ დავბრუნდებით, როცა თითოეული ადამიანის ბედს რამდენიმე კაცი წყვეტდა. ამას, უბრალოდ, საზოგადოება არ დაუშვებს.

პაატა შევარდნაძე: რა გითხრათ, ვინც გიას იცნობს, ყველამ იცის, რომ ის წესიერი კაცია. ეს ბრალდებები აბსურდულია. გამოძიებაში ევროპელი და ამერიკელი იურისტები ჩაერთვებიან. სიმართლე, ალბათ, გაირკვევა.

**მზია გელენავა.**

## ინფორმაცია

### „დიდი ვალსი" ოპერის თეატრში

**თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება ჯორჯ ბალანჩინის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სპექტაკლი „დიდი ვალსი".**

**როგორც „ინტერ-პრესს" ოპერის თეატრში განუცხადეს, სპექტაკლის იდეის ავტორი ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის ქორეოგრაფიული სასწავლებლის ხელმძღვანელი თამაზ ვაშაკიძეა.**

**ერთსაათიან წარმოდგენაში იოჰან შტრაუსის ვალსები შესრულდება და მასში კომპოზიტორი და პიანისტი ჯარჯი ბალანჩივაძე და ქორეოგრაფიული სასწავლებლის მეორე-მესამე კურსის სტუდენტები მიიღებენ მონაწილეობას.**

### ქართული პანტომიმა საბერძნეთში

**პანტომიმის ქართული თეატრის გასტროლები საბერძნეთში დიდი წარმატებით გაიმართა.**

**ქართულმა დასმა მონაწილეობა მიიღო ათენში გამართულ პანტომიმის საერთაშორისო ფესტივალში. ზაფხულში იგეგმება ფართომასშტაბიანი გასტროლები საბერძნეთის სხვადასხვა ქალაქში. პანტომიმის თეატრის გასტროლები თბილისის მერის ვანო ზოდელავას დახმარებით განხორციელდა.**

**ინტერ-პრესი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 50, კვირა, 29 თებერვალი, 2004 წელი.

წარდგენილია სახელმწიფო პრემიაზე

# გამოხმაურება ნოდარ ლომოურის წერილზე „ჩვენი წარსულის გამცოცხლებელი“

ბატონო ნოდარ,

გავეცანით „საქართველოს რესპუბლიკის“ 9.09.03 გამოქვეყნებულ თქვენს გამოხმაურებას გიორგი ჩიტაიას „შრომების“ ხუთტომეულზე.

„შრომების“ შემდგენელი რედაქტორები, პირადად ზურაბ წერეთელი, უღრმეს მადლობას მოგახსენებთ ჩვენი შრომის დაფასებისათვის და გიორგი ჩიტაიას მემკვიდრეობის მაღალი მეცნიერული და ზნეობრივი კუთხით შეფასებისთვის.

თქვენი შეფასება დიდად ფასეულია ჩვენთვის. თქვენ მიეკუთვნებით იმ მეცნიერთა წრეს, რომელთაც თავიდანვე სწამდათ და ღირსეულად აფასებენ გიორგი ჩიტაიას ფართო საზოგადოებრივ და სამეცნიერო მოღვაწეობას.

პირადად ჩემთვის კი, თქვენ იყავით ის სულიერი ძალა, რომელიც სიმტკიცეს მმატებდა გიორგი ჩიტაიას „შრომებზე“ მუშაობის ყველაზე მძიმე წლებში. და ეს არაა შემთხვევითი. ჩემი ნათქვამი რომ არ გაგიკვირდეთ, მინდა შეგახსენოთ ერთი თქვენი გამოსვლა 60-იან წლებში ისტორიის ფაკულტეტის გაფართოებულ სხდომაზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 93-ე აუდიტორიაში, რომელიც არამც და არამც არ შეიძლება ჩაითვალოს რიგით ამბად. ჩვენ, იმ პერიოდის სტუდენტები მომსწრე ვართ იმ ფაქტისა, როდესაც თქვენ, სხდომის თავმჯდომარემ, დაიცავით გიორგი ჩიტაია ზოგიერთი მეცნიერის (გვარს შეგნებულად არ დავასახელებ) უსაფუძვლო თავდასხმისაგან და გამოსვლა დაამთავრეთ ასეთი ფრაზით: *„ის დროც დადგება, როცა საერთაშორისო სამეცნიერო არენაზე გიორგი ჩიტაია არა მარტო სამეცნიერო წერილებით, არამედ მონოგრაფიებით წარსდგება, და ეს იქნება ქართული მეცნიერების დიდი ეროვნული მონაპოვარი“.*

თქვენმა წერილმა სწორედ ის სხდომა გამახსენა, რომელიც ჩემთვის მთელი ცხოვრების მეგზურად იქცა. ისეთი ძლიერი იყო იმ პაექრობის შთაბეჭდილება, რომ, დღემდე ცხადად მახსოვს და არა მარტო მე. ამ ცოტა ხნის წინათ პროფ. გრანი ქავთარიამ შეხვედრისას მითხრა: „რამდენიც გიორგი ჩიტაიას ხუთტომეულს შევხედავ, იმდენი ნოდარ ლომოურის გამოსვლა მაგონდებაო“.



ბედნიერია ჩემი თაობა, რომ გვყავდა თქვენნაირი აღმზრდელები, რომელთა სამაგალითო მეცნიერული და ადამიანურ-მოქალაქეობრივი თვისებები დღემდე გვასაზრდოვებს და გვეხმარება სიძნელეების გადალახვაში.

დღეს გიორგი ჩიტაია თავისი „შრომების“ ხუთტომეულით წარმოსდგა როგორც ქართველი ხალხის ცხოვრების მეისტორიე, რომელმაც ქართულ კულტურას ღირსეული ადგილი მიუჩინა მსოფლიოს ხალხთა კულტურის ისტორიაში და ფუძემდებლური ადგილი დაიკავა ქართული მეცნიერების ისტორიაში.

თქვენი წინასწარმეტყველური გამოსვლის გამართლებაა აგრეთვე ცნობილი ფრანგი ანთროპოლოგის პასკალ რენიეს გამოხმაურება გიორგი ჩიტაიას მემკვიდრეობის შესახებ და მიმართვა ევროპული სამეცნიერო წრისათვის, საქართველოს და კავკასიის შესწავლისათვის გირჩევთ მიმართოთ გიორგი ჩიტაიას შრომებსო.

პატივისცემით
**თამილა ცაგარეიშვილი,**
გიორგი ჩიტაიას „შრომების“ ხუთტომეულის შემდგენელი რედაქტორი.

1997-2001 წლებში ადგილობრივი ეთნოლოგისა და პროფესორის თამილა ცაგარეიშვილის ხელმძღვანელობით ქართულ ენაზე გამოიცა აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას „შრომები“ ხუთ ტომად. წარმოდგენილ ნაშრომს განსაკუთრებული სიზუსტე და მკაფიოობა შესძინა მისმა რედაქტორმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა როინ მეტრეველმა. ნაშრომი საგანგებო ეთნოგრაფიული ილუსტრაციებით შეამკო საქართველოსა და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსმა, ქართული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის პრეზიდენტმა, სახალხო მხატვარმა ზურაბ წერეთელმა. იგი ამ გამოცემის სულისჩამდგმელია.

## საქართველოსა და კავკასიის შესწავლისათვის გირჩევთ მიმართოთ გიორგი ჩიტაიას „შრომებს“

ნაშრომში ზურაბ წერეთლის შემოქმედებითი უნარი წარმოჩენილია ახალი კუთხით, რამაც კიდევ ერთხელ გაგვაოცა. აქ ვხედავთ ჭაბუკ წერეთელს, შემართულს ახალგაზრდული ენერგიით, ფუნჯით წინაპართა საძვალესთან და თავისი ხალხის სიყვარულით გაჟღენთილს. ალბათ, აღზრდის ამ ფორმამ აქცია იგი სწორუპოვარ შემოქმედად.

გიორგი ჩიტაიას ხუთტომეულით ქართული კულტურა წარმოისახა უნიკალურ ნაშრომში, სადაც გაერთიანდა ენციკლოპედიური ცოდნა და მხატვრული შემოქმედებითი გენიალობა. სწორედ რომ იშვიათი მოვლენაა. ეს გახლავთ ჭეშმარიტი პატივი, რომელიც ამ ერთ-ერთ უდიდეს ქართველ მეცნიერს თავისი აღზრდილებისგან მიეგო.

გიორგი ჩიტაია დაიბადა ფოთში 1890 წელს. მისი მამა მიწათმოქმედი იყო, ხოლო დედას გულით უნდოდა, შვილი სწავლული გამხდარიყო. 1911 წელს სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის დაწყებამდე, სრულიად ყმაწვილი, თბილისში ეუფლებოდა ცოდნას. პეტერბურგში იგი ხვდება ნიკო მარს, რომელიც ეხმარება მას და ამზადებს სხვადასხვა სამეცნიერო საგანში — ენათმეცნიერებასა და არქეოლოგიაში. აქვე გიორგი ჩიტაია ხვდება ივანე ჯავახიშვილს, ინტერესდება ისტორიით და ეთნოგრაფიით, სრულყოფს ამ საგნის თეორიულ და პრაქტიკულ მხარეებს. 1917 წელს ის ბრუნდება ფოთში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. 1922 წელს ეთნოგრაფიული მუზეუმის მეცნიერ თანამშრომლად ირიცხება. 1940 წლის ბოლოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობს ზოგადი ეთნოგრაფიისა და საქართველოს ეთნოგრაფიის კურსებს.

მეცნიერი ზოგიერთი გამოკვლევისა თუ კონკრეტული თემატიკის მეშვეობით განუწყვეტლივ ცდილობს გამოკვეთოს ერთი მხრივ ეთნოგრაფიასა და მეორე მხრივ, ისტორიას, გეოგრაფიას, მატერიალურ კულტურას, ხელოვნებას, ლიტერატურას, მუსიკას, ცეკვებსა და სიმღერებს შორის არსებული კავშირები. მან შეისწავლა სამიწათმოქმედო კულტურა და განსაზღვრა ქართულ თუ კავკასიურ საგანთა ძირითადი ტიპოლოგიები, ჩამოაყალიბა სახლებისა თუ სამეურნეო შენობათა კლასიფიკაციის პრინციპები. წარმოაჩინა ორნამენტაციის სტილები. მასვე მიეწერება ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის მეთოდების შემუშავება.




1969 წელს აკადემიკოსის წოდების მიღების შემდეგ დიდ მეცნიერს საპატიო მოვალეობად მიაჩნია ახალგაზრდა სტუდენტებისა თუ მკვლევართათვის თავისი ცოდნის გაზიარება სწავლების პროცესში და მრავალრიცხოვანი პუბლიკაციების მეშვეობით. 1986 წელს გიორგი ჩიტაია გარდაიცვალა.

მან დატოვა უდიდესი ღირებულების ნაღვაწი, რომელმაც აშკარად დააჩნია კვალი ქართულ სამეცნიერო მემკვიდრეობას. ამიტომ შეუფასებელია შემდგენელ-რედაქტორების ღვაწლი. მეცნიერის შრომების გამოცემა საყოველთაო მოვლენაა: I ტომში მოცემულია მიწათმოქმედება კავკასიაში, II ტომში — მოსახლეობის ეთნოგენეზისი, III ტომი მოიცავს კვლევებს ქართულ ეთნოგრაფიაში, IV ტომში წარმოდგენილია საუნივერსიტეტო ლექციების კურსი ეთნოგრაფიაში, V ტომში გაშუქებულია ისტორიულ-ეთნოგრაფიული საკითხები. ეს უზარმაზარი სამუშაო მხოლოდ მეცნიერის პუბლიკაციებს როდი ეფუძნება, აქ გამოყენებულია საარქივო მასალები, ხელნაწერები, მკვლევარის ლექციები და მისი პირადი შენიშვნები. რაც მთლიანად დამუშავებულია მისი მოწაფის, პროფ. თამილა ცაგარეიშვილის მიერ. მთლიანობაში ის წარმოადგენს წყაროს ნებისმიერი სერიოზული მკვლევარისათვის, რომელიც იწყებს კავკასიის ან, განსაკუთრებით, საქართველოს შესწავლას.

საქართველოს ეთნოგრაფიული კვლევის პროცესში საჭიროდ მიგვაჩნია ქართული წყაროების მნიშვნელობის ხაზგასმა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ის შეცდომა, რომელიც საკმაოდ გავრცელებულია დასავლეთში. კერძოდ, ფიქრობენ, რომ არაქართველ მკვლევართა მიერ საქართველოსა და კავკასიის ეთნოგრაფიის შესწავლა შესაძლებელია მხოლოდ სხვა ენებზე შესრულებული შრომებით... ქართული შრომების არარსებობის გამო. სწორედ ამიტომაც ენიჭება დიდი მნიშვნელობა გ. ჩიტაიას მემკვიდრეობის გამოცემას. ის გაფანტავს იმ ბურუსს, რომელიც ქართული კულტურის შესახებ ვრცელდება დასავლეთში.

ქართული წყაროები შეუცვლელია. მხოლოდ ცოტა მეცნიერი თუ შეეხო რამდენიმე უზუსტობას, რომელიც გამოვლინდა ქართულ ეთნოგრაფიაზე შექმნილ ზოგიერთ არაქართულ შრომაში. ამ ავტორებს არ შეეძლოთ დაეჭირათ ქართული ენის ნიუანსები, მისი ხიბლი. აქ მხოლოდ ორიოდე მაგალითს დავასახელებ, თუმცა ამ ტიპის მრავალი ათეული შეცდომა არსებობს. მაგ. ქარი და მისი ნაირსახეობების აღმნიშვნელი სიტყვები, ან, თუნდაც, როდესაც საქართველოში ფეხმძიმე ქალზე საუბრობენ, ამბობენ, რომ ის „ორ-სული-ა“. მაშინ რაღა უნდა ითქვას სიმბოლოებზე, მითებზე თუ რწმენა-წარმოდგენებზე, რომლებიც ძუნწად არის დასურათხატებული მკვიდრი მოსახლეობის მიერ, ცხადია, წარმოშობით ქართველი უკეთ ჩასწვდება მათ, ვიდრე არაქართველი. საკუთრივ საქართველოსთვის დამახასიათებელი დახვეწილობა, რაც სათანადოდ აღქმული და შესწავლილია ათწლეულების განმავლობაში, განსაკუთრებულ ღირებულებას ანიჭებს ქართველ ეთნოლოგთა შრომებს. ამის დამადასტურებელია გიორგი ჩიტაიას შრომები. უფრო მეტიც, ამ მეცნიერის დანატოვარი დღეს წარმოადგენს შეუცვლელი ღირებულების ნაშრომს. რადგან ის იქმნებოდა განსაკუთრებულ ეთნოგრაფიულ გარემოსა და კონკრეტულ ეპოქაში, გარდამავალ პერიოდში — მეოცე საუკუნის დასაწყისში, უძველეს დროსა და თანამედროვეობას შორის. ეს ეპოქა მომსწრეა იმ ფაქტების დიდი ნაწილისა, რომელიც დღეს აღარ არსებობს. ამგვარი მოსაზრებანი უფლებას გვაძლევს, გიორგი ჩიტაიას „შრომების“ ეს გამოცემა ვურჩიოთ საქართველოთი და კავკასიით დაინტერესებულ სტუდენტობასა თუ მკვლევარებს. აუცილებელია მისი გამოცემა ევროპულ ენებზეც.

**პასკალ რენიე,**
ანთროპოლოგი
პარიზი.

მსოფლიო შტრიხებში

# ტახტს ძირს უთხრიან

ნუ გაგიკვირდებათ, ინგლისის სამეფო ტახტი ასეთ საშიშროებაში ჯერ არ ყოფილა. მაგრამ ახლა მისი საფუძვლის გამოთხრა მოინდომეს.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ერთხელ, როდესაც ავსტრალიაში, ახალი სამხრეთ უელსის შტატში ბრინჯის მომყვანი ფერმერი, 62 წლის მაიკლ გასტინგსი ლუდხანისაკენ მიიჩქაროდა კათხა ლუდის დასალევად, მას წინ გადაუდგა ბრიტანელი კინო-დოკუმენტალისტი, რომელმაც ავსტრალიელს აუწყა, რომ მასზე, როგორც ბრიტანეთის ტახტის კანონიერ მემკვიდრეზე, ფილმის გადაღება უნდოდა.

კინოჟურნალისტმა მწვანე კონტინენტის მოქალაქეს ისიც აუწყა, რომ სწორედ მას ეკუთვნის მეფის გვირგვინი, ბუკინგემის სასახლეც, ხოლო რაც შეეხება ახლანდელ დედოფალს — ელისაბედ მეორეს, ის დედოფალი კი არა, ჩვეულებრივი პროვინციელი აზნაური ქალია.

გასტინგს კინაღამ ყბა ჩამოუვარდა. შეიძლება ითქვას, რომ ყოველივე ამის შესახებ მას რაღაც სმენოდა. იცოდა, მაგალითად, რომ მის ძარღვებში „ცისფერი სისხლი“ ჩქეფდა და რომ ბავშვობაში თავისი ბებიის სასახლეში



თამაშობდა. თუმცა ახლა ის ბალ-მასკარადებზე დროსტარებას ლუდხანებში ხეტიალს ამჯობინებდა, ხოლო ფრაკს — ფეხბურთის მაისურსა და შორტებს, და კიდევ, ფერმებში მუშაობასა და კენგურუს დევნას. გრაფის ტიტულიც კი თითქმის დაივიწყა. იმაში, რომ „ბრინჯის მეფე“ ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრეა, „დამნაშავეა“ ისტორიკოსი მაიკლ ჯონსი. სწორედ მან მიაგნო საფრანგეთში, რუანის ტაძრის ბიბლიოთეკაში წერილობით დადასტურებას იმისა, რომ ელისაბედ მეორის ტახტის მემკვიდრეობა ძალზე საეჭვოა. მისი გვარტომობა დასაბამს იღებს ედუარდ მეოთხიდან, იორკის ჰერცოგის შვილისა და სესილი ნეველიდან. მაგრამ კირკიტა ისტორიკოსი აცხადებს, რომ ედუარდ მეოთხე უკანონო შვილი იყო, ვინაიდან მამამისს — ჰერცოგს არ შეეძლო მისი ჩასახვა, რადგან იმ დროს პარიზთან იბრძოდა. ხოლო იმ დროს ქმარსმონატრებული სესილი უბრალო მშვილდოსანს დაუკავშირდა და დაორსულდა კიდევაც.

ისტორიკოსის მიერ შემუშავებული საგვარტომო ხის მიხედვით, ინგლისის ტახტი ეკუთვნის არა ცოდვის შვილს — ედუარდ მეოთხეს, არამედ მის უმცროს, მაგრამ წმინდასისხლიან ძმას — გეორგს, რომლის პირ-



დაპირი მემკვიდრეა ავსტრალიელი ფერმერი მაიკლ გასტინგსი.

როდესაც ფილმი „მეფე გასტინგსი“ ეკრანებზე გამოვიდა, ბრიტანელებმა გენეალოგიის ბევრი სპეციალისტის აზრი მოისმინეს, რაც ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრედ ავსტრალიელის სამართლიანობას ამტკიცებს. რასაკვირველია, ბუკინგემის სასახლე ამის წინააღმდეგია. ხოლო რაც შეეხება თავად გასტინგს, გვაპატიეთ და, ის აცხადებს, რომ, მართალია, მეფეა, მაგრამ ყველაფერი ეს ფეხებზე მკიდიაო!

ეს იყო

# სამი წელიწადი და ნახევარ საუკუნეზე მეტი



**მეორე მსოფლიო ომის დროს წითელ არმიაში სამხედრო კონტრდაზვერვა შეიქმნა** – სმერში, რომელიც რუსულის – Смерть шпионам! (სიკვდილი ჯაშუშებს) აბრევიატურაა. ეს მოხდა 1943 წლის 19 აპრილს. ოფიციალურადაც ასე ერქვა სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კონტრდაზვერვის სამმართველოს – სმერში.

ამ დროისათვის ომის მსვლელობაში გარდატეხა უკვე მიღწეული იყო. წითელი არმია უტევდა. ათავისუფლებდა მტრის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებს. გერმანელთა ტყვეობიდან გამორბოდნენ საბჭოთა ჯარისკაცები და ოფიცრები. მათგან ზოგიერთს გერმანული დაზვერვა საგანგებოდ წვრთნიდა და ჯაშუშებად აგზავნიდა. სმერშის მთავარი ამოცანა მტრის დაზვერვის საქმიანობის აღკვეთა იყო. სმერშმა სულ სამი წელიწადი იარსება, მაგრამ იგი დღესაც ახსოვთ.

გერმანელებისგან მოპარული 6 ათასი დოკუმენტი, ოპერაციები და ე.წ. რადიოთამაშები, რომლებიც მის მიერ იყო განხორციელებული, მსოფლიოს უდიდეს მზვერავთა სკოლების სახელმძღვანელოებშია შეტანილი.

სმერში „ფილტრაციას" გადიოდნენ გერმანელთა ტყვეობიდან გათავისუფლებული ჯარისკაცები. იგი თვალყურს ადევნებდა წინა ხაზზე მყოფ მეომრებს და მათ მეთაურებს, უზრუნველყოფდა მტრის ზურგში დესანტის გადასხმას.

ბევრი შეცდომაც იყო დაშვებული, როცა უდანაშაულო ადამიანები სამშობლოს მოღალატეებად ინათლებოდნენ. და მაინც, ომის დროს და მისი დასრულების შემდეგ კონტრდაზვერვამ 80 ათასი სამხედრო დამნაშავე გამოამჟღავნა.

საბჭოთა კონტრმზვერავთა მთავარი მოწინააღმდეგე გერმანიის დაზვერვის ძლიერი მანქანა – აბვერი იყო. მის აგენტურას სმერშის მე-4 განყოფილება ებრძოდა. ერთი მისი განყოფილება აგროვებდა ინფორმაციას მტრის მზვერავთა სკოლებსა და მოწინააღმდეგის მოსალოდნელ ოპერაციებზე; მეორე განყოფილება განახორციელებდა ოპერაციებს მტრის ზურგში.

აი, ერთი „კლასიკური" ოპერაცია, რომელიც ბალტიისპირეთის პირველი ფრონტის სმერშმა განახორციელა.

წითელი არმიის უმცროსი ლეიტენანტი ბოგდანოვი 1941 წლის აგვისტოში ტყვედ ჩავარდა. გერმანელების დაზვერვამ გადაიბირა, გაიარა სპეცმომზადება სმოლენსკის დივერსანტთა სკოლაში, და, როცა საბჭოთა ზურგში გადმოისროლეს, განსაკუთრებულ განყოფილებაში ბრალის აღიარებით გამოცხადდა. 1943 წლის ივლისში ბოგდანოვი გერმანელებთან დაბრუნდა და დავალების შესრულების შესახებ უპატაკა. გერმანელებმა სიხარულით მიიღეს და სმოლენსკის დივერსანტთა სკოლის ოცმეთაურად დანიშნეს. სკოლაში სამსახურის დროს ბოგდანოვმა საბჭოთა კონტრდაზვერვის მხარეზე გადმოიბირა 6 აგენტი-დივერსანტი.

1943 წლის ოქტომბერში ბოგდანოვი და სკოლის 150 მსმენელი დამსჯელი ოპერაციის განსახორციელებლად საბჭოთა კავშირში შემოაგზავნეს. რაზმის მთელი პირადი შემადგენლობა პარტიზანების მხარეს გადმოვიდა.

**რუსეთის პრესაში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით.**



**სურათებზე: (მარცხნიდან) სმერშის უფროსი ვიქტორ აბაკუმოვი, სსრკ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარი ვსევოლოდ მერკულოვი და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ლავრენტი ბერია გამარჯვების პარადის შემდეგ (რეკონსტრუირებული ფოტო); ასე ატყვევებდნენ დივერსანტებს სმოლენსკის ტყეებში.**

პოლიტკინო

# სტალინის როლი ბანკირმა ითამაშა, მისი სტუმრებისა – მინისტრების მოადგილეებმა

**ცნობილი რუსი მწერლის ვასილ აქსიონოვის რომანის „მოსკოვის საგას" მიხედვით რეჟისორი დიმიტრი ბორშჩევსკი ამთავრებს ამავე სახელწოდების მრავალსერიიანი ტელეფილმის გადაღებას. მოქმედება 1925-1958 წლებში ვითარდება. პრემიერა აპრილის პირველ ნახევარში რუსეთის პირველ არხზეა დაგეგმილი.**

ამ სურათში პოპულარულ მსახიობებთან ერთად პოლიტიკასა და ბიზნესში „ცნობილი სახეები" მონაწილეობენ.

მასობრივ სცენაში „მიღება კრემლში 1943 წელს" სტალინის მრავალრიცხოვან სუტმრებს შორის გადაუღეს რუსეთის ფედერაციის ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილეს არკადი დვორკოვიჩს და მის მეუღლეს – საკუთრებითი ურთიერთობების მინისტრის მოადგილეს ზურმუდ რუსტამოვას.

„სტალინთან მიღებაში" მონაწილეობენ რუსეთის ყოფილი სახელმწიფო მდივნის გენადი ბურბულისის მეუღლე ნატალია და ასევე ყოფილი ვიცე-პრემიერის ალექსანდრე შოხინის მეუღლე ტატიანა. თვით შოხინსაც და ბურბულისსაც ძალიან სურდათ კადრში მოხვედრა, მაგრამ რეჟისორმა კატეგორიული უარით გაისტუმრა: „პირველი ტალღის" დემოკრატების გამოჩენას „სტალინთან მიღებაზე" მაყურებელი ხარხარით შეხვდებაო.



სამაგიეროდ, ფილმის ერთ-ერთ საკვანძო მომენტში, სადაც მიხეილ ფრუნზეს ბედი წყდება, გადაუღეს რუსეთის ფედერალური საბჭოს წევრს ვიქტორ დობროსოცკის და ბანკირ იგორ კოგანს.

ყველა არაპროფესიონალი „მსახიობი" უსასყიდლოდ მონაწილეობდა...

ახლა სტალინის როლის შემსრულებელზე, მოსკოვი-პარიზის ბანკის მმართველზე ვლადიმერ მირონოვზე ვთქვათ ორიოდ სიტყვა.

ვლადიმერი საოცრად გავს სტალინს და მთელი ცხოვრება ოცნებობდა, კინოში ეთამაშა სტალინი. მაგრამ როცა ამ იდეით მიმართა პროდიუსერ ანტონ ბორშჩევსკის, ამ უკანასკნელს სიცილადაც არ ეყო შემოთავაზებული წინადადება. მირონოვს არ ეწყინა. გადატვირთულობის მიუხედავად (ბანკის ხელმძღვანელობას იგი სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის მოსკოვის ინსტიტუტში ეკონომიკას ასწავლის), დაიქირავა მოსკოვის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მასწავლებელი და წელიწადნახევრის განმავლობაში მასთან მეცადინეობდა. და როცა კინოსინჯებზე მივიდა, იმ დროს დარბაზში მყოფი თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობები გაოცდნენ, ისე გავდა ბანკირი სტალინს. სულ ახლახან ნაწყვეტები ფილმიდან ნახეს რუსეთის კულტურის მინისტრმა შვიდკოიმ და პირველი არხის ხელმძღვანელებმა. „აი, სტალინი შესანიშნავი გამოგივიდათ", – უთხრეს მათ რეჟისორს.

**სურათზე: ბანკირი ვლადიმერ მირონოვი უმაღლესი მთავარსარდლის იოსებ სტალინის როლში.**

## ციტატა თემაში

**„ბანკეტი, ბუნებრივია, გახსნა უმაღლესმა მთავარსარდალმა, მარშალმა იოსებ სტალინმა. როგორც კი გაიხმიანა ბანკეტის ხმაურში ამ ჰიპნოზური ძალის მქონე ხმამ, ყველა გაჩუმდა.**

**– ბატონებო და ქალბატონებო! ძვირფასო ამხანაგებო! ნება მომეცით წარმოვთქვა ჩვენი სახელოვანი მოკავშირეების სადღეგრძელო.**

**ყველა წამოდგა: ოფიცრები – ორდენების ჟღარუნით, ქალები – აბრეშუმისა და აბრეშუმხავერდის კაბების შრიალით. ბრწყინვალებამ დაისადგურა იმპერიულ ციხე-სიმარგრეში. ლამაზმანებიც კი იყვნენ გაშიშვლებული მხრებით! სადღაა პროლეტარიატის დიქტატურა? ეს რა სისულელეა – დემოკრატია და ტირანია ერთ მწყობრში!" (ვასილ აქსიონოვი. „მოსკოვის საგა").**

მსოფლიო შტრიხებში

## ჯარიმა პაპიროსისთვის

**თუ იტალიაში მატარებლით მგზავრობა მოგიწევთ – არც გაიფიქროთ სიგარეტის გაბოლება. თუკი პოლიციელებმა წამოგასწრეს, ვაი, შენს დღეს, ჯარიმად 7 ევროს გადახდა მოგიწევთ, 2005 წლის 13 იანვრიდან კი ჯარიმად 25-დან 250 ევრო დაგჭირდებათ.**

სულ ცოტა ხნის წინათ მწეველებს არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა, იტალიაში მოწევა აკრძალული არ იყო, მაგრამ ქვეყნის მთავრობამ ბრძოლა გამოუცხადა იტალიელთა ამ მავნე ჩვევას და აი, შედეგიც!

## ქორწილი წყალქვეშა სასტუმროში

**ეს წყალქვეშა სასტუმრო, ზღვის დონიდან 21 მეტრის სიღრმეზე, ფლორიდაში ზურმუხტოვან ლაგუნაშია და მას დიდი მწერლის პატივსაცემად „ჟიულ ვერნი" ჰქვია. ოკეანოლოგებმა იან კობლიკმა და ნეილ მანიმ თავიანთი წყალქვეშა ლაბორატორია გადააკეთეს პატარა, ექვსი კაცისთვის განკუთვნილ სასტუმროდ. მასში მოწყობილია სამზარეულო, სასადილო ოთახი, საშხაპე. არის ტელეფონიც.**

წყალქვეშა ოტელში მოხვედრა მხოლოდ აკვალანგით შეიძლება, ეგრეთ წოდებული სველი ოთახის გავლით. იქ კი ჩვეულებრივ ტანსაცმელში შეიძლება გამოეწყოთ.

სასტუმროს მდგმურებს არავითარი სასუნთქი აპარატები არ სჭირდებათ: ნორმალურ პირობებს იცავენ ზღვის ზედაპირზე არსებული სპეციალური სადგურიდან.

„ჟიულ ვერნში" ყოფნის მინიმალური დრო 3 საათია, მაქსიმალური კი განსაზღვრული არ არის. მთავარია, ფული გადაიხადოთ. ღამის გათევა ჩვეულებრივ ნომერში 295 დოლარი ღირს, „ლუქსში" კი – 395.

აქ არც ახალდაქორწინებულნი დავიწყებიათ – ქორწილის გადახდა ტრადიციული თაიგულითა და ტორტით. ნეფე-პატარძლის სტუმრობა ღამის თევით 1195 დოლარი ღირს.

ინფორმაცია

## ახალი სააგენტო ვაჭრობის სამინისტროში

**ეკონომიკის სამინისტროში უახლოეს მომავალში ინვესტიციების და ვაჭრობის განვითარების სააგენტო შეიქმნება. მას 2 ძირითადი ფუნქცია ექნება – მიაწოდოს ამომწურავი ინფორმაცია ინვესტორებს, რომლებიც საქართველოში ჩამოსვლას დააპირებენ და თითოეულ ქართველ მეწარმეს დაეხმაროს, რათა უცხოეთის ბაზარზე გავიდეს.**

**ინტერ-პრესი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!




# ცსს-მ სსრ კავშირს არაერთი უვარგისი ტექნოლოგია შეაჩეჩა

**1982 წლის იანვარში პრეზიდენტმა რეიგანმა ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს მისცა სანქცია შეემუშავებინა საბჭოთა ეკონომიკისათვის ძირის გამოთხრის გეგმა სსრ კავშირისთვის ისეთი მოწყობილობებისა და ტექნოლოგიების გადაცემის გზით, რომლებსაც დიდი შეფერხებით უნდა ემუშავათ.**

ამას წერდა გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი", რომელსაც მოჰყავდა ციტატები ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ადმინისტრაციის ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის მოხელის მემუარებიდან.

ამერიკელებისათვის ამ გეგმის განხორციელებაში ყველაზე წარმატებული შედეგი გახდა 1982 წლის ზაფხულში ციმბირის ერთ-ერთ ნავთობსადენზე მომხდარი მძლავრი აფეთქება. ტომას რიდი, მემუარაების ავტორი, რომელიც რეიგანის დროს შედიოდა ამერიკის შეერთებული შტატების უშიშროების ეროვნული საბჭოს შემადგენლობაში, აღნიშნავდა, რომ აფეთქების შედეგად წარმოქმნილი ხანძარი კოსმოსიდანაც კი მოჩანდა.

როგორც რიდის წიგნიდან ჩანს, 1970-იანი წლების დამდეგს სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა შექმნა განსაკუთრებული სამმართველო, რომლის ამოცანებშიც შედიოდა ინფორმაციის შეგროვება დასავლეთის უახლესი ტექნოლოგიების შესახებ. ამ ქვეგანაყოფის თანამშრომლები ხშირად მოგზაურობდნენ საზღვარგარეთ საბჭოთა სავაჭრო დელეგაციების შემადგენლობაში. მაგალითად, კომპანია „ბოინგის" ერთ-ერთ საამწყობო საამქროში ვიზიტის წინ, საბჭოთა დელეგაციის ერთ-ერთმა წევრმა ფეხსაცმლის ლანჩაზე მიიკრა სპეციალური წებოვანი აპკი, რათა შეეგროვებინა წარმოებაში გამოყენებული ლითონის ნიმუშები.

სრული წარმოდგენა საბჭოური სამრეწველო ჯაშუშობის შესაძლებლობების შესახებ ამერიკელებს შეექმნათ 1981 წლის ზაფხულში, როცა ერთ-ერთმა ფრანგმა მზვერავმა შეძლო დაკავშირებოდა საბჭოთა აგენტს – ვლადიმერ ვეტროვს. ამის შემდეგ მალე ვეტროვის საქმიანობა „გაიხსნა" და 1983 წელს იგი სიკვდილით დასაჯეს. მაგრამ ფრანგებისათვის მის მიერ გადაცემული დოსიე შეიცავდა ამ სფეროში სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებულ 4 ათასამდე დოკუმენტს და იმ 200-ზე მეტი აგენტის ვინაობას, რომლებიც მთელ მსოფლიოში მოქმედებდნენ.

ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში მიხვდნენ, რომ საბჭოთა კავშირმა შეძლო მიეღო უმნიშვნელოვანესი მონაცემები, რომლებიც ეხებოდა რადარებს, საკომპიუტერო ტექნოლოგიებს, მანქანათმშენებლობასა და ნახევარგამტარებს. „ჩვენი მეცნიერება მუშაობდა მათი თავდაცვისათვის" – აღნიშნავდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ერთ-ერთი ყოფილი ექსპერტი გას ვაისი 1996 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში.

მაგრამ ვეტროვის დოსიეში იმ მოწყობილობების ნუსხაც იყო, რომლებიც მაშინ ძალზე სჭირდებოდა საბჭოთა კავშირს. ჰოდა, ვაისმა შესთავაზა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მაშინდელ დირექტორს უილიამ კეისს სსრ კავშირისათვის ისეთი ტექნოლოგიების „გადაცემის" გეგმა, რომლებშიც არსებული ხარვეზები და გაუმართაობა ძნელი შესამჩნევი იქნებოდა. გაზსადენის აფეთქება გახდა იმის ყველაზე მკაფიო დადასტურება, თუ რამდენად ეფექტიანად შეიძლება ბრძოლის ასეთი მეთოდების გამოყენება.

როგორც თავის მემუარებში წერს ტომას რიდი, როცა ციმბირში გაისმა აფეთქების ხმა, ამერიკელები ამან ძალზე შეაშფოთა, რადგან მათ იფიქრეს, რომ საბჭოთა კავშირმა გაუშვა რაკეტა, ან განახორციელა ბირთვული გამოცდა მათთვის უცნობ რომელიმე პოლიგონზე. მაგრამ, თანამგზავრებმა ვერ დააფიქსირეს ბირთვული აფეთქების თანამდევი ვერანაირი ტიპური ნიშანი.

# მოლაპარაკება მალე გაგრძელდება

**ოთხდღიანი მოლაპარაკება კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ბირთვული პროგრამის მომავლის შესახებ დასრულდა ისე, რომ მოლაპარაკების მონაწილე ექვსმა ქვეყანამ ვერ მიიღო საბოლოო დეკლარაცია. მათ გააკეთეს ზოგადი განცხადება იმის თაობაზე, რომ უნდა გაიმართოს ახალი კონსულტაციები. მოლაპარაკების წევრი ქვეყნების წარმომადგენლები სხვადასხვაგვარად აფასებენ შეხვედრის შედეგებს.**

მოლაპარაკების დასრულების შესახებ ინფორმაციის გავრცელებისთანავე აღინიშნა, რომ მხარეებმა მიაღწიეს შეთანხმებას მიმდინარე წლის მეორე ნახევარში მოლაპარაკების გაგრძელების შესახებ.

მოლაპარაკების მონაწილეები აპირებდნენ მიეღოთ დეკლარაცია სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, რომელმაც უნდა განიხილოს ფხენიანისათვის ენერგეტიკული გარანტიების მინიჭების საკითხი იმის სანაცვლოდ, რომ ჩრდილოეთ კორეა ხელს აიღებს ბირთვული იარაღის შექმნისათვის გამიზნული პროგრამის განხორციელებაზე. როგორც სამხრეთ კორეის წყაროები აღნიშნავენ, ასეთი დოკუმენტი უკვე მზად იყო ხელმოსაწერად, მაგრამ ჩრდილოეთ კორეის წარმომადგენლებმა არ ისურვეს მიეღოთ მონაწილეობა ხელმოწერის ცერემონიაში და „ბოლო მომენტში" მოითხოვეს დოკუმენტის ტექსტში გარკვეული ცვლილებების შეტანა.

სამხრეთ კორეის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მიერ გავრცელებული მონაცემებით, შეთანხმების პროექტი ითვალისწინებდა მოლაპარაკების მორიგი რაუნდის გამართვას უკვე მიმდინარე წლის მარტში. თუმცა, ოფიციალურმა სეულმა უარი თქვა დაედასტურებინა ეს ინფორმაცია.

შეხვედრის დასრულებისას, ჩინეთის წარმომადგენლებმა დიპლომატიურად მიანიშნეს რომ მოლაპარაკებაზე მხარეებმა შეძლეს მიეღწიათ პროგრესისათვის. თუმცა, როგორც ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლი ჯაოსინმა აღნიშნა, შეხვედრის მონაწილეთა შორის კვლავ არსებობს დიდი უთანხმოება.

ამერიკელთა დელეგაციის წარმომადგენლებმაც ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადეს, რომ კონსულტაციები ძალზე წარმატებული გამოდგა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ბირთვული პროგრამის სრული შეკვეცის პერსპექტივა ახლა უფრო რეალურია, ვიდრე ეს ოდესმე იყო.

ასეთივე მოსაზრებას იზიარებს რუსეთის წარმომადგენელიც მოლაპარაკებაზე, რომელმაც „ინტერფაქსის" კორესპონდენტთან საუბრის დროს აღნიშნა, რომ „გარკვეული პროგრესი პეკინის შეხვედრის დროს ნამდვილად დაისახა".



# 15 მილიონი ევრო-ლატარიით



**საფრანგეთში „Euro Millions" ევროპული ლატარიის მონაწილემ პირველივე გათამაშებაში მოხსნა ჯეკ-პოტი 15 მილიონი ევროს ოდენობით.**

როგორც „ტფ-1" ტელეარხი იტყობინებოდა, მოგებული ბილეთი ქალაქ ბურჟში შეიძინეს.

ახალ ლატარიას მართავს ბრიტანელ, ფრანგ და ესპანელ ოპერატორთა კონსორციუმი. მომავალი წლისათვის მათ სხვა ქვეყნებიც შეუერთდებიან. ბილეთის ღირებულებაა 2 ევრო (1,5 გირვანქა სტერლინგი – ინგლისში).

ლატარიის ორგანიზატორთა თქმით, ჯეკ-პოტმა შესაძლოა 50 მილიონ გირვანქა სტერლინგსაც კი გადააჭარბოს.

გათამაშება ეწყობა ყოველ პარასკევს.

# შეტაკებები ვენესუელაში

**ვენესუელის დედაქალაქ კარაკასში მოხდა შეტაკება ქვეყნის პრეზიდენტის უგო ჩავესის რამდენიმე ათას მოწინააღმდეგეთა და ეროვნული გვარდიის ჯარებს შორის.**

დემონსტრანტები აპირებდნენ საპროტესტო აქციის გამართვას კარაკასში მიმდინარე მსოფლიოს 15 განვითარებადი ქვეყნის სამიტის დროს. ქალაქის ცენტრისაკენ გზა მათ ეროვნული გვარდიის ჯარებმა გადაუკეტეს. ატყდა შეხლა-შემოხლა, რომლის დროსაც მომიტინგეებმა გვარდიელებს ქვები დაუშინეს. ჯარისკაცებმა, თავის მხრივ, დემონსტრანტების წინააღმდეგ გამოიყენეს ცრემლსადენი გაზი და პლასტმასის ტყვიები. შეტაკების შედეგად ორივე მხრიდან არიან დაჭრილები.

უგო ჩავესის ოპონენტებს იმედი აქვთ, რომ სამიტის დროს საპროტესტო აქციის გამართვა კიდევ უფრო გააძლიერებს კამპანიას ქვეყანაში პრეზიდენტისადმი ნდობისადმი საკითხზე რეფერენდუმის მოწყობის მოთხოვნით.

ისინი აცხადებენ, რომ გასული წლის დეკემბერში შეაგროვეს რეფერენდუმის გამართვისათვის საჭირო 2 მილიონ 400 ათასზე მეტი ხელმოწერა. მაგრამ, თვით პრეზიდენტი თავის ოპონენტებს ყალთაბანდობაში ადანაშაულებს.

ჩავესის მომხრეებს დართეს პრეზიდენტის მხარდამჭერი მიტინგის მოწყობის ნება სამიტის გამართვის ადგილის მახლობლად.

ეგრეთ წოდებული ვენესუელის მეგობართა ჯგუფის წევრები, რომელშიც შეერთებული შტატებიც შედის, მოითხოვენ რომ ქვეყანაში უზრუნველყოფილი იყოს დემოკრატიულ პროცედურათა გამჭვირვალობა.

ამავე დროს უმაღლესი დონის შეხვედრა გრძელდება. განვითარებადი ქვეყნების ჯგუფში შემავალი 15 სახელმწიფოს წარმომადგენლები შეიკრიბნენ კარაკასში 4 კონტინენტიდან, რათა განიხილონ ენერგეტიკული პრობლემები.



კარაკასში ამჟამად წესრიგს იცავს ეროვნული გვარდიის 50 ათასი ჯარისკაცი და პოლიციელები. მრავალ სამხედროს არა აქვს უფლება დატოვოს ქალაქი სამიტის დასრულებამდე.

# შრედერი უკმაყოფილოა დოლარის კურსის შესუსტებით

**გერმანიის კანცლერი გერჰარდ შრედერი ვაშინგტონში შეხვდა ამერიკის შეერთებლი შტატების პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს და განაცხადა, რომ დოლარის კურსის შესუსტება ზიანს აყენებს ევროპის ეკონომიკას.**



ამერიკის ოფიციალური პოზიცია გულისხმობს იმას, რომ ქვეყნის ადმინისტრაცია უჭერს მხარს ეროვნული ვალუტის სიმყარეს.

როგორც შრედერმა აღნიშნა შეხვედრის წინ, მას სწამს, რომ დოლარის კურსის დაცემა ხდება არა შეგნებულად, რაიმე ისეთი პოლიტიკის შედეგად, რომლის მიზანიც არის მისცეს ბიძგი ამერიკის წარმოების აღორძინებას ევროპელთა ხარჯზე. ამავე დროს, კანცლერმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ დოლარის ამჟამინდელი კურსი ევროს მიმართ მიუღებელია. ჟურნალისტებთან საუბრისას მან მოიყვანა ბუშის სიტყვები, რომელმაც თქვა, რომ შეერთებული შტატების მთავრობას ფრიად შეზღუდული შესაძლებლობები აქვს საიმისოდ, რომ მოახდინოს ზემოქმედება სავალუტო საქმეებზე.

ეს თემა, შესაძლოა გახდეს ამერიკასა და გერმანიას შორის ახალი უთანხმოების მიზეზი.

მაგრამ ვაშინგტონში გამართული შეხვედრის საერთო ტონი მაქსიმალურად პოზიტიური იყო. ბუშმა და შრედერმა, რომლებსაც წინათ გარკვეული უთანხმოება ჰქონდათ, ამერიკის პრეზიდენტის თქმით, კვლავ აღადგინეს მეგობრული ურთიერთობა.

**უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა**

**ზაზა ბეჟანიძემ.**

# სპორტი

## ფაქსი არგენტინიდან

# მის აღმატებულებას საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს



**ასლი: გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას" გაზეთ „ლელოს" მთავარ რედაქტორს ბატონ თენგიზ გაჩეჩილაძეს „მთავარი გაზეთი სპორტის" მთავარ რედაქტორს ბატონ პაატა გელაშვილს**

თქვენო აღმატებულებავ,

უპირველეს ყოვლისა, ნება მომეცით მოგილოცოთ საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე არჩევა და გისურვოთ წარმატებები თქვენს მოღვაწეობაში.

როგორც ფეხბურთის სპეციალისტი, საქმის კურსში ვარ, რომ საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრებისათვის უცხოელი მწვრთნელის ძიებაში ხართ. ამასთან დაკავშირებით, თავს უფლება მივეცი, რომ გირჩიოთ ბატონი ვისენტე კაიეტანო როდრიგესის სახელი, რომელსაც ვთვლი ჩემს მეგობრად და ნდობით აღჭურვილ პიროვნებად, ევროპისა და სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის უზარმაზარი ცოდნით და ნაკრებ გუნდებში მუშაობის დონის გამოცდილებით, რომელიც 8 წლის განმავლობაში არგენტინის და 3 წელი მექსიკის ნაკრებ გუნდებში ჩემთან ერთად მუშაობდა.

ბატონ როდრიგესს შეუძლია უხელმძღვანელოს მსოფლიოს ნებისმიერ საფეხბურთო ნაკრებ გუნდს.

ბატონ როდრიგესს მიეხმარებიან კვალიფიციური არგენტინელი სპეციალისტები: ბატონი დიეგო კრუსიანი და ბატონი უგო დებოლი.

დარწმუნებული ვარ, რომ ბატონ როდრიგესს შეუძლია დიდი წვლილი შეიტანოს ქართული ფეხბურთის პროგრესის საქმეში.

აგრეთვე, გაცნობებთ, რომ საქართველოს კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და საქმიანი ურთიერთობების საერთაშორისო ფონდის თავმჯდომარე, ბატონი ნიკო პატარქალიშვილი, უფლებამოსილია წარმოადგინოს ბატონი როდრიგესი და აწარმოოს მოლაპარაკებები ხელშეკრულების გასაფორმებლად.



ბატონი ვისენტე კაიეტანო როდრიგესი მზადყოფნას გამოთქვამს მოლაპარაკება აწარმოოს საქართველოში უახლოეს პერიოდში.

ბატონო პრეზიდენტო, რაც შეეხება მეგობრობას, რომელიც მე მაკავშირებს ბატონ როდრიგესთან, დიდი სიამოვნებით გესტუმრებოდით საქართველოში, მოწვევის შემთხვევაში.

ამით ვამთავრებ და ვუსურვებ თქვენს ეროვნულ ნაკრებს 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში დიდ წარმატებებს.

უღრმესი პატივისცემით,
**სესარ ლუის მენოტი.**




**ფაქსი:**
995-32-93-15-99.

## აქეთურ-იქითური

### ასე ფიქრობს ვანდერლეი



**წამყვანი ბრაზილიელი სპეციალისტი, ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ვანდერლეი ლუქსემბურგო ხშირად ხვდება ხოლმე ჟურნალისტებს. აი, მისი აზრები ფეხბურთზე:**

**ფორვარდის შესახებ:** მე არ მჭირდება ფორვარდი, რომელიც გაშეშდება მეტოქის საჯარიმო მოედანზე და გადაცემას მოელის. დღევანდელი ფეხბურთი მუდმივი გადაადგილებაა. ჩვენ გვახსოვს, რომ ისეთი თავდამსხმელები, როგორებიც იყვნენ ვან ბასტენი ან გულიტი, სულაც არ თაკილობდნენ მინდვრის შუაგულში დახევას, საიდანაც იწყებდნენ კომბინაციას, მოულოდნელად აღმოჩნდებოდნენ ხოლმე საჯარიმოზე და გოლებიც გაჰქონდათ.

**დრიბლინგზე:** დრიბლინგი მოთამაშის მთავარი ღირსებაა. მე რომ ავუკრძალო რივალდოს ან დენილსონს დრიბლინგის გამოყენება, ისინი მოთამაშეები აღარ იქნებიან.

**ტაქტიკურ ვარჯიშზე:** იგი ჩვეულებრივ ვარჯიშს გაცილებით სჯობს. ტაქტიკური ვარჯიში იწყება მინდორზე წყნარი გადაადგილებით. თითოეული მოთამაშე თავის მარშრუტზე სწავლობს თავის ამოცანას. მე მომწონს გუნდის თამაშის აწყობა მეტოქის სისუსტეების გათვალისწინებით. სწორედ ასე უნდა ივარჯიშოს გუნდმა.

### ჯილდო — საუკეთესო ახალგაზრდას

**იტალიაში სამი წლის წინათ შემოიღეს ახალი საპატიო ჯილდო — „სილვიო პიოლას პრიზი", რომელიც წლის საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშეს ენიჭება.** აქამდე იგი მიიღეს მასიმო მაკარონემ და ჯუზეპე სკულიმ. ახლა კი, 2003 წლის სეზონის შედეგების თანახმად, საუკეთესოდ მიიჩნიეს „პარმას" თავდამსხმელი ალბერტო ჯილარდინო.

### შეისწავლეს „მექსიკური ტალღა"

**ბუდაპეშტის უნივერსიტეტის მეცნიერების ჯგუფმა დოქტორ ტამაშ ვიჩეკის ხელმძღვანელობით ე. წ. „მექსიკური ტალღა" შეისწავლა — გულშემატკივრების შეხმატკბილებული აქცია ტრიბუნებზე, როცა ყველა შეთანხმებულად დგება ადგილებიდან, შემდეგ სხდება და ტალღას წარმოქმნის.** ეს მანევრი პირველად მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონატზე გამოიყენეს მექსიკაში და მას შემდეგ პოპულარული გახდა. აი, რა დაასკვნა ვიჩეკის ჯგუფმა: თუმცა ტალღის შექმნაში ათასობით და ათი ათასობით ადამიანი მონაწილეობს, მას მხოლოდ რამდენიმე ათეული გულშემატკივარი იწყებს, ვთქვათ, სულ 25. ეს პატარა რაზმი დიდ აქციას აძლევს ბიძგს.



### „ბარსელონა" რუი კოშტას ეპატიჟება

**„ბარსელონა", რომელმაც მკვეთრად გააუმჯობესა თამაში, 2004-2005 წლების სეზონის დასაწყისიდან „მილანის" განთქმულ პორტუგალიელ ნახევარმცველ რუი კოშტას ეპატიჟება. სანაცვლოდ „მილანი" მიიღებს არა მარტო რამდენიმე მილიონ ევროს, არამედ მექსიკელ მცველ რაფაელ მარკესსაც.**

## ყოველი მხრიდან

### ჩემპიონატი „ფხიზელი" იქნება




**ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირის — უეფას მიერ გამართული შეჯიბრებების ისტორიაში პირველად 2004 წლის ევროპის ჩემპიონატზე პორტუგალიაში გულშემატკივრებს დაავალდებულებენ ალკოჰოლსა და ნარკოტიკებზე სპეციალური ტესტების გავლას.**

ეს გუშინწინ გამოაცხადეს ლისაბონში. კანონში სათანადო შესწორებები, რაც ნებას დართავს პოლიციას, აუკრძალოს გულშემატკივრებს სტადიონებზე შესვლა ტესტების დადებითი შედეგების მიხედვით, ქვეყნის მთავრობამ პარლამენტში შეიტანა. როგორც ევრო-2004-ის უშიშროების სამსახურის უფროსმა ლეონელ კარვალიუმ განმარტა, ტესტებს ყველა გულშემატკივარი კი არ გაივლის, არამედ მხოლოდ ისინი, ვინც თავიანთი „არაადეკვატური" ქცევით გამოირჩევიან.

ალკოჰოლზე ტესტებს სტადიონების შესასვლელში აიღებენ. დასაშვები ნორმის — ლიტრზე 1,2 გრამი — გადაჭარბების შემთხვევაში გულშემატკივარს სტადიონზე არ შეუშვებენ. თუ როგორ შეამოწმებენ ნარკოტიკებს, ახლა დგინდება.

მოელიან, რომ აღნიშნულ შესწორებებს ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო დაუბრკოლებლად მიიღებს.

შეჯიბრებათა გამართვაში უეფას დირექტორმა იაკობ ერელმა შენიშნა, რომ კანონმდებლობის ასეთი სიახლის შემუშავებაში უეფა არ მონაწილეობდა.

### ნაადრევი სიხარული

**ვზონებ, ნაადრევად მოგვივიდა იმის თქმა, რომ ლინარესის საჭადრაკო სუპერტურნირი „ყაიმების სენისაგან" განიკურნაო. ეს კი 6 ტურში 18 პარტიიდან 16 ყაიმის შემდეგ, მეშვიდე ტურში სამივე პარტიის „შედეგიანად" დამთავრებამ გვათქმევინა. ფაქტობრივად, მერვე ტურმა ყველაფერი „წყალში გადაგვიყარა".**



სუპერტურნირის მეორე ნახევრის პირველ (ანუ მერვე) ტურში სამივე პარტია კვლავ ყაიმით დამთავრდა. კასპაროვი შიროვს დაუზავდა, კრამნიკი — ვალეხოს, ხოლო ლეკო — რაჯაბოვს.

8 ტურის შემდეგ ლიდერთა სამეული ასე გამოიყურება: პეტერ ლეკო (უნგრეთი) 4,5 ქულა, გარი კასპაროვი და ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) — 4-4 ქულა.

### „ასტრონომიული" გამარჯვება

**ახლა კვიპროსის კუნძულზე ფეხბურთის უამრავი გუნდია ჩასული საწვრთნელ შეკრებაზე. მათ შორის არის რუსეთის პრემიერ-ლიგის დებიუტანტი — კრასნოდარის „ყუბანი".** მან მორიგი საკონტროლო მატჩი გამართა კვიპროსის საფეხბურთო ლიგის კლუბთან — ნიქოზიის „სპარტასთან". კრასნოდარელებმა აღმავლობით წარმართეს ეს საწვრთნელი შეხვედრა და მასპინძლები „ასტრონომიული" ანგარიშით დაამარცხეს — 29:0. ყუბანელებიდან განსაკუთრებით გამოიჩინა თავი იგორ კისელიოვმა, მან მეტოქეთა კარგში 12 ბურთი გაიტანა.

როგორც ჩანს, „უხვგოლიანობა" არც თუ იშვიათი ამბავია ახალგაზრდა ფეხბურთელისათვის, იგი 2002 წლის სეზონში, კრასნოდარ-2000"-ში თამაშობდა და რუსეთის ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩში „ლოკომოტივ-ტაიმთან" 10 გოლი გაიტანა.

### „ცხვარი ცხვარიაო, მაგრამ თუ გაცხარდა"...

**ალბათ გახსოვთ, მსოფლიო პრესა მოიარა და ჩვენი გაზეთის სპორტულ გვერდშიც რამდენჯერმე ვწერდით, რომ ცნობილმა ინგლისელმა მოდელმა კეტი პრაისმა, რომელსაც უფრო ჯორდანის სახელით იცნობენ, არაერთხელ საჯაროდ განაცხადა, რომ სარეცელს იყოფდა ისეთ ცნობილ სპორტსმენებთან, როგორიც დევიდ ბექჰემი, რალფ შუმახერი და სხვები არიან.**

შეიძლება ითქვას, ასეთ გამოხდომებს კარგა ხანს ითმენდა ფეხბურთის ვარსკვლავის მეუღლე — ვიქტორია. მაგრამ მოთმინებასაც ხომ თავისი საზღვარი აქვს?

და აი, ლონდონის ერთ-ერთ სალონში უჩვეულო დებოში ატყდა, როდესაც მადრიდის „რეალისა" და ინგლისის ნაკრების ნახევარმცველის მეუღლე თავის „მეტოქეს" — ჯორდანს გადაეყარა.

სალონში „პრომი" (ის ალბათ, ერთობ ღირსეული დაწესებულებაა, რადგან იქ ხშირად დადის სათაყვანებელი ფეხბურთელისა და თავად „სპაის გერლზის" ვარსკვლავი) ვიქტორია პარიკმახერებს და ვიზაჟისტებს აკითხავდა, როგორც ჩანს, ეს გაიგო ჯორდანმა და გადაწყვიტა, თავადაც ისე გამოიყურებოდეს, როგორც პოში (ასე იცნობენ ვიქტორიას თაყვანისმცემლები). ამის გაგებაზე ვიქტორიამ თავი ველარ შეიკავა და წამოიძახა: „ეგ მკერდსავსე ღორი, სულ არაა ჩემი ტოლი".

თვითმხილველების გადმოცემით ორი „მეტოქის" შეხვედრისას დაზიანდა სალონის ინტერიერი. ვიქტორიას თავის დაცვაც ეხმარებოდა. ამბობენ, რომ ჯორდანი და მისი მკერდი არ დაზარალებულა.

ბოროტი ენები იმასაც ამბობენ, რომ ვიქტორიას გაცხარების მიზეზი მხოლოდ ის კი არ იყო, რომ პრაისის მკერდი შეშურდა, არამედ ძირითადად ის, რომ ძალზე ბევრს ლაპარაკობენ ჯორდანისა და ბექჰემის მოსალოდნელი დაახლოების თაობაზე.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

სპორტი
საქართველოს რესპუბლიკა
№ 50, კვირა, 29 თებერვალი, 2004 წელი.

## ფეხბურთი

**ჯოვანი ტრაპატონიმ ორჯერ მოიპოვა მსოფლიო აღიარება: ჯერ, როგორც მოთამაშემ (ერთხელ პელეც კი გამოთიშა თამაშიდან), შემდეგ კი როგორც მწვრთნელმა. მისი, როგორც მწვრთნელის, კარიერა მხოლოდ იტალიასთან არ არის დაკავშირებული. „მილანთან" ერთად ორჯერ მოიპოვა ჩემპიონთა თასი (როგორც მოთამაშემ და როგორც მწვრთნელმა), მთელ რიგ წარმატებებს მიაღწია „ინტერსა" და „იუვენტუსში". როცა გერმანიაში მუშაობდა, პირველ წელს მიუნხენის „ბაიერნში" მარცხი იგემა, რაც ნაწილობრივ გერმანულის უცოდინრობას მიაწერეს. მაშინ ტრაპატონიმ ისწავლა გერმანული, მცირე შესვენების შემდეგ „ბაიერნს" დაუბრუნდა, იქ ჩემპიონობაც მოიპოვა და გერმანიის თასიც.**

**მასალა, რომელსაც ახლა გთავაზობთ, უეფას ჟურნალში გამოქვეყნდა და, იმედია, ჩვენი მკითხველების ყურადღებასაც მიიპყრობს.**

# ახალგაზრდული სულისკვეთების ხანდაზმული მწვრთნელი

**— თქვენ 27 წლის განმავლობაში წვრთნიდით სხვადასხვა კლუბს. რა განსხვავებას წააწყდით, როცა იტალიის ნაკრებს ჩაუდექით სათავეში?**

— ფეხბურთი კარდინალურად შეიცვალა. დღეს მწრთნელის მუშაობა ადრინდელისგან დიდად განსხვავდება. ამას სხვადასხვა ფაქტორი უწყობს ხელს. პირველ რიგში, შეიცვალა პროფესიული დამოკიდებულება. მანამდე, სანამ „ბოსმანის საქმესთან" დაკავშირებული ცვლილებები მოხდებოდა, მოთამაშეები კლუბებთან მტკიცედ იყვნენ დაკავშირებული, შემდეგ კი მათი დამოკიდებულება შეიცვალა. დღეს ძნელია ისეთი ფეხბურთელის პოვნა, რომელიმე კლუბთან ხანგრძლივად რომ იყოს დაკავშირებული. ადრე კლუბები დაინტერესებული იყვნენ, რათა მოთამაშეები ნაკრებში მიევლინებინათ. ახლა, კომერციული მიდგომის გამო მოთამაშეებიც და კლუბებიც ნაკრებს ნაკლები ენთუზიაზმით ეკიდებიან. იტალიის ნაკრებში თავს იჩენს დროის ფაქტორი — ჩვენ ვერ ვასწრებთ ფეხბურთელების ჯეროვნად მომზადებას მატჩებისათვის როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით.



**— მწვრთნელად ამდენ ხანს მუშაობის შემდეგ კიდევ გაქვთ მოტივაცია, რათა კარიერა ასეთ მაღალ დონეზე გააგრძელოთ?**

— ჩემი მთავარი მოტივაცია ფეხბურთის სიყვარულია. ყოველ ახალ სეზონში, თითოეულ ახალ გუნდთან მე ახალ შესაძლებლობებს ვპოულობ, მინდა კვლავ წარმატებებს მივაღწიო. მე მომწონს ისიც, რომ ფეხბურთის განვითარების ერთგვარი მონაწილეც ვარ არა მარტო ტაქტიკური თვალსაზრისით, არამედ ადამიანური ურთიერთობითაც. ეს ვულკანს ჰგავს: სულ ახალ-ახალი სუბსტანცია, ახალი საქმიანობა, ახალი ენთუზიაზმი.

**— მალე ევროპის 2004 წლის ჩემპიონატი დაიწყება. საინტერესოა, რა დასკვნები გამოიტანეთ 2002 წელს იაპონიაში და კორეაში გამართული მსოფლიო ჩემპიონატიდან?**

— ახლა იტალიის ნაკრები გაცილებით უკეთ არის მომზადებული, ვიდრე ორი წლის წინათ. მაშინ გადაჭარბებულ ყურადღებას ვაქცევდით კლიმატურ თავისებურებებს, გვაღელვებდა ადგილობრივი პირობები. ბევრი მოთამაშე მატჩის შემდეგ ვერ ახერხებდა ძალების აღდგენას. ამასთან, ჩემპიონატის დაწყების წინ იტალიის ეროვნული პირველობა სულ ახალი დამთავრებული იყო, მოთამაშეები გადაიღალნენ. იგივე პრობლემები ჰქონდათ არგენტინის, საფრანგეთის, პორტუგალიის ნაკრებებს. ჩვენს გუნდში ბევრი თამაშობდა იმაზე უარესად, ვიდრე სინამდვილეში შეეძლო. ამის საწინააღმდეგოდ იაპონელები, კორეელები და აშშ-ს ნაკრები ჩინებულად თამაშობდნენ. ვფიქრობ, ბევრმა ჯეროვნად ვერ შეაფასა მათი შესაძლებლობები.

იტალიის ნაკრებს ემოციური და ფიზიოლოგიური სიძნელეების აღმოსაფხვრელად დიდი დაბრკოლებების გადალახვა უხდება. ჩვენი ფეხბურთელები საკლუბო დონეზე მწვავედ უპირისპირდებიან ერთმანეთს, ამიტომ ნაკრებში ერთობ ძნელია მათგან ერთიანი კოლექტივის შექმნა. თანაც ამას ხომ ძალიან მოკლე დროის განმავლობაში უნდა მივაღწიოთ.

**— როგორ იმოქმედა „ბოსმანის საქმემ" თქვენზე, როგორც ნაკრების მწვრთნელზე?**

— მრავალრიცხოვანი უცხოელი მოთამაშეების ჩვენს ქვეყანაში ჩამოსვლამ ახალგაზრდა იტალიელი ფეხბურთელები საკმაოდ შეზღუდა. გარდა ამისა, „ბოსმანის საქმემ" ფეხბურთელების მენტალიტეტიც შეცვალა — ახლა ისინი მეტ ყურადღებას აქცევენ კარიერის კომერციულ ასპექტს. ადრე იტალიელებს არ ჰქონდათ საშუალება ერთი გუნდიდან მეორეში ასე ადვილად გადასვლისა, ახლა კი მათ ნახეს, რომ თავად შეუძლიათ თავიანთი ბედ-იღბლის გადაწყვეტა.

1966 წლიდან მოყოლებული, მთელი 15 წლის განმავლობაში იტალიაში არც ერთი საზღვარგარეთელი ფეხბურთელი არ თამაშობდა. შემდეგ ერთი ან ორი მოთამაშის მოწვევის ნება დართეს, მაგრამ ისინი გამოჩენილი ფეხბურთელები იყვნენ, ისეთები, როგორიც, მაგალითად, მიშელ პლატინი: ბოსმანის შემდეგ ამ საკითხში უკვე აღარ იყო სტაბილურობა — ყველაფერი აირ-დაირია, მთავარი გახდა ფულის მოხვეჭისადმი ლტოლვა.

**— თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს, რომ შენარჩუნდეს ინტერესი საერთაშორისო ფეხბურთისა და მისი ხარისხისადმი?**

— ძალიან გაჭირდება ფეხბურთის დონისა და მისდამი ინტერესის შენარჩუნება. საჭიროა, კლუბებმა შეიცვალონ კომერციული პოლიტიკა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, პირველ რიგში, ტელევიზია, აგრეთვე, სპონსორები გაცილებით მეტ ინტერესს იჩენენ საკლუბო შეჯიბრებებისადმი, ვიდრე ნაკრებების მატჩებისადმი. ჩვენს სპორტში ბიზნესი დომინირებს.

თუ ტექნიკურ ასპექტებს შევეხებით, თამაშის ხარისხის შესანარჩუნებლად საჭიროა აგრესიული მოქმედებებისგან მაღალი კლასის ფეხბურთელების უკეთ დაცვა, მაგალითად, ისეთი ტაქტიკური ილეთისგან, როგორიც არის ბლოკირება. არაკორექტული ილეთები ძალიან ზღუდავენ ფეხბურთის ვარსკვლავების შესაძლებლობებს.

ეჭვგარეშეა, ამხანაგური მატჩების გამართვა დიდი პრობლემა გახდა. კლუბები ნაკრებებს დახმარების ხელს არ უწვდიან, მოთამაშეები სიამოვნებით როდი თანხმდებიან ასეთ მატჩებში მონაწილეობაზე. ასეთ ამხანაგურ მატჩებს უსიამოვნება მოაქვთ ნაკრების მწვრთნელისა და ფედერაციისათვის, რადგან მათი შედეგები გათვალისწინებულია ფიფას რეიტინგში და, ამრიგად, სინამდვილე მახინჯდება.

**— როცა კრიტიკის დრო დგება, თქვენ მთელ გუნდს ესაუბრებით თუ თითოეულ მოთამაშეს ცალ-ცალკე?**

— ზოგიერთ მოთამაშეს ცალკე უნდა ესაუბრო, სხვანაირად იგი გამწარდება, შეიძლება რწმენაც დაკარგოს. ზოგჯერ, როცა საჭიროა გუნდის „შეხურება", შეიძლება რაიმე მკვეთრიც კი ვთქვა, ეს უკვე მთელი ნაკრებისკენ იქნება მიმართული. ამასთან, მოთამაშეებმა კარგად იციან, ვინ მყავს მხედველობაში. მწვრთნელი კარგად უნდა იცნობდეს თითოეულ ფეხბურთელსაც და სიტუაციასაც. საერთოდ კი, კრიტიკა კოლექტიური უნდა იყოს, რადგან ჩვენს დროში სახიფათოა ცალკეული მოთამაშეების მიმართ სხვათა დასწრებით აგრესიის გამოვლენა. მოთამაშეებს სწორად, გულისყურით უნდა მოექცე და მათ მოქმედებაზე ადეკვატური რეაქციაც არის საჭირო.

**— რას აქცევთ მთავარ ყურადღებას ნაკრების ვარჯიშის დროს?**

— მთავარი ყურადღება ეთმობა მეტოქეს, მისი თამაშის ძლიერ და სუსტ მხარეებს, წინა მატჩებს. შემდეგ მე მოთამაშეებთან ერთად ყურადღებას ვუთმობ მათ გამოსვლებს კლუბებში, ზოგს მოვუწოდებ გარდაიქმნან და ნაკრების სტილი შეითვისონ. ყურადღებას ვაქცევთ იმასაც, რომ ყველა მოთამაშე ნორმალურ ფიზიკურ მზადყოფნაში იყოს — ნაკრების მწვრთნელს ფიზიკური მომზადების დარგში მუდმივი კონტაქტი აქვს კლუბებში ამავე სფეროს სპეციალისტებთან. ამასთან, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ფიზიკური მომზადება ყოველთვის ინდივიდუალურია.

როცა სტანდარტულ მდგომარეობებზე ვვარჯიშობთ, ზოგ მოთამაშეს (ვთქვათ, ტოტის ან დელ პიეროს), რომელთაც კარგი დარტყმა აქვთ, შეიძლება ასეთი მითითება მივცეთ: ბურთი პირდაპირ კარში გაგზავნონ. თუკი კუთხური ან თავისუფალი დარტყმა ინიშნება, ჩვენ მკაცრ კოლექტიურ სტრატეგიას ვიმუშავებთ და კოლექტიურ მოძრაობაში ვვარჯიშობთ. როცა ჩვენს კარში საჯარიმო ინიშნება, დაცვით ვარიანტებზეც ვმუშაობთ.

**— როგორ წარიმართება, თქვენი აზრით, ევროპის 2004 წლის ჩემპიონატი?**

— თუკი ჩვენი წამყვანი ფეხბურთელების ფიზიკური მზადყოფნა სრულყოფილია, ეს მე ყოველთვის ოპტიმისტურად განმაწყობს. ჩემი აზრით, ევროპის ჩემპიონატი მსოფლიო პირველობაზე გაცილებით უფრო რთულია, მასში გამარჯვება მეტად ძნელია. იტალიის ნაკრებში რამდენიმე ჩინებული მოთამაშეა, მაგრამ აუცილებელია, რომ ევროპის ჩემპიონატის დასაწყისისათვის ისინი ფიზიკურად მაქსიმალურად კარგად იყვნენ მომზადებულნი. სადღეისოდ, ჩემი აზრით, ყველაზე კარგად საფრანგეთის ნაკრები გამოიყურება. სწორედ მას აქვს საუკეთესო შესაძლებლობები. ესპანეთი იტალიას ჰგავს — მასაც ბევრი ძლიერი ფეხბურთელი ჰყავს, მაგრამ ძნელი სათქმელია, შექმნის თუ არა მძლავრ კოლექტივს. პორტუგალიელები შინ თამაშობენ, ეს კი დიდი უპირატესობაა, ამასთან, ნურც ინგლისსა და გერმანიას დავივიწყებთ, რომლებიც დიდი ტურნირებისთვის ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ყოველთვის ჩინებულად არიან ხოლმე მომზადებულნი. სიურპრიზის შემოთავაზება ჩეხეთის ნაკრებსაც შეუძლია, თუმცა ამნაირ ტურნირებში გადამწყვეტ როლს ყოველთვის ტრადიცია თამაშობს.

მოამზადა
**გივი თორელმა.**

## აქეთურ-იქითური



### „რეალის" სამი ფრონტი"

**მადრიდის „რეალი" წარმატებით იბრძვის „სამ ფრონტზე": იგი ესპანეთის ჩემპიონატის ლიდერობასთან ერთად ჩინებულად გამოდის ჩემპიონთა ლიგაში.** „მესამე ფრონტი" კი ესპანეთის თასი გახლავთ. მას შემდეგ, რაც ნახევარფინალში „სამეფო კლუბმა" „სევილიას" სძლია (2:0, 0:1), მას გადამწყვეტ შეხვედრაში სათამაშო დარჩა „სარაგოსასთან". ფიქრობენ, რომ ამ კლუბს ძალიან გაუჭირდება „რეალთან" გამკლავება — მადრიდელები ყოველ მატჩში აუმჯობესებენ თამაშს. მიმომხილველთა აზრით, წლეულს „რეალს" „ჰეთ-ტრიქის" ჩინებული შანსები აქვს.

### ბუნდესტაგის წინ ნუ ითამაშებთ!

**ომის დამთავრების შემდეგ ბერლინში ერთი ტრადიცია დამკვიდრდა — რიგითი მოქალაქეები ბუნდესტაგის შენობის წინ პატარა მინდორზე იყრიდნენ თავს და ფეხბურთის თამაშით იქცევდნენ თავს. ახლა ბერლინის მესვეურებმა გადაწყვიტეს, რომ ეს ვერაფერი ტრადიციაა და უნდა გაუქმდეს. ვინც ამ აკრძალვას დაარღვევს, 50 ევრო უნდა გადაიხადოს.**

### უგანდელი მაგნატი „ლიდსს" უმიზნებს

**როგორც ინგლისური პრესა იუწყება, გაჭირვებაში ჩავარდნილი „ლიდს იუნაიტედი" შეიძლება უგანდელ მაგნატ მაიკლ ეზრას საკუთრება გახდეს.** ეზრა აპირებს კლუბის ვალების მთლიანად დაფარვას, შემდეგ კი 100 მილიონი გირვანქა სტერლინგის ფარგლებში ახალი ფეხბურთელების ყიდვას.

### „ფიორენტინა" იმედს არ კარგავს

**„მკვდრეთით აღდგენილ" პოპულარულ „ფიორენტინას", რომელიც „სერია C2"-დან (ეს ხომ მეოთხე დივიზიონია) „სერია ი"-ში თამაშის უფლება მიეცა, მისმა ახალმა მფლობელებმა უმძიმესი ამოცანა დაუსახეს — წელსვე დაბრუნებულიყო უმაღლეს ლიგაში.** ამის გაკეთებას მწვრთნელი ალბერტო კავაზინი, ეტყობა, ვერ შეძლებდა: დაიწყო მეორე წრე და გუნდს რაიმე სიკეთე არ ეტყობოდა. ამიტომ იგი ცნობილმა სპეციალისტმა ემილიანო მონდონიკომ შეცვალა.

„ფიორენტინა" კვლავ ინარჩუნებს იმედებს. „სერია ი"-ში 24 კლუბია, აქედან 5 გამარჯვებული პირდაპირ მოიპოვებს უმაღლესი ლიგის საგზურს, ამ ამოცანის გადაჭრა მეექვსესაც შეეძლება თუ დამატებით მატჩს მოიგებს. ისე რომ, სატურნირო ცხრილის შუაგულში მყოფი „იისფერი გუნდი" ჯერჯერობით ფარ-ხმალს არ ყრის.

### ტარაბუა დააჯვია

**ესპანელი მსაჯი მეხია დავილა ყატარის ჩემპიონატის მატჩების არბიტრად მიიწვიეს „ალ-სადისა" და „ჰორის" შეხვედრაში.** მან მეტოქეებს 8 (!) წითელი ბარათი „გამოუწერა". აქედან „ალ-სადს" 3 ფეხბურთელი გაუძევა. სტუმრებს კი 5. მაშინ, როცა „ჰორის" მეხუთე მოთამაშეს დაატოვებინა მინდორი, მსაჯმა, წესების თანახმად, მატჩი შეწყვიტა და „ალსაიდს" ტექნიკური გამარჯვება მიუსაჯა ანგარიშით 3:0. საინტერესოა, რომ ამ მომენტისათვის შეხვედრის დამთავრებამდე რჩებოდა 4 წუთი, ხოლო ანგარიში იყო 2:2.

ვთქვათ ისიც, რომ ყატარელებმა მსაჯი — ლეგიონერი ექსპერიმენტის სახით მიიწვიეს.

### მსოფლიო ჩემპიონი აზერბაიჯანელებს წვრთნის



**მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონმა, ბრაზილიის ნაკრების კაპიტანმა კარლოს ალბერტო ტორესმა მიიღო აზერბაიჯანის ფედერაციის წინადადება, სათავეში ჩაუდგეს ამ ქვეყნის ეროვნულ გუნდს.** 59 წლის ბრაზილიელმა ხელი მოაწერა ერთწლიან კონტრაქტს, რომელიც შემდეგ შეიძლება გაგრძელდეს. ადრე ტორესი მუშაობდა ეგვიპტეში, ომანსა და ნიგერიაში, აგრეთვე, ბრაზილიურ კლუბებში „ფლამენგოში", „ბოტაფოგოსა" და „ფლუმინენსეში".

### რომას თვალი „რომასკენ" უჭირავს

**იტალიური პრესის ცნობით, „რომას", რომელიც ახლა ქვეყნის ჩემპიონობისათვის იბრძვის, შეიძლება ერთ-ერთი რუსული კომპანია დაეუფლოს.** ამ კომპანიის ზურგს უკან კი, როგორც გაირკვა, რუსი მილიარდერი, ლონდონის „ჩელსის" მფლობელი რომან აბრამოვიჩი დგას. „რომას" ახლანდელმა მეპატრონემ ფრანკო სენსიმ განაცხადა, რომ მზად არის გაყიდოს კლუბი, თუკი 400 მილიონ ევროს გადაუხდიან (აქედან 230 მილიონი ვალების გადახდას დასჭირდება).

როგორც რომის მერიის წარმომადგენელმა განაცხადა, იგი ყოველნაირად შეეწინააღმდეგება ამ გარიგებას.



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

თქვენთვის, გულშემატკივრებო

# რუსეთის პრემიერლიგის 2004 წლის სეზონის კალენდარი



ყველამ იცის, რომ ქართველი ფეხბურთელები მთელ დუნიაზე არიან მოდებული. ხარისხის რა მოგახსენოთ, მაგრამ რაოდენობით რომ რუსეთში მობურთალი ჩვენი თანამემამულენი ჭარბობენ, არავისთვის წარმოადგენს საიდუმლოს. ეტყობა, ფინანსურ ფაქტორთან ერთად, ეს ტენდენცია ტრადიციასაც უკავშირდება – ჩრდილოეთში ხომ წინა თაობათა არაერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს მოუწია საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენა.

მას შემდეგ, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა, დაიშალა ზესახელმწიფო, შეიცვალა სისტემა, მაგრამ მკაცრი კლიმატი კვლავაც მრავალ ტყავის ბურთის ქართველ ოსტატს იზიდავს. ჩვენც, ვითვალისწინებთ რა ფეხბურთის ჩვენებურ ქომაგთა ინტერესს, გთავაზობთ რუსეთის პრემიერლიგის 2004 წლის კალენდარს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **I ტური**<br>12 მარტი<br>ცსკა - ტორპედო მეტ.<br>ზენიტი - როტორი<br>კრილია - სატურნი<br>ალანია - რუბინი<br>კუბანი - ამკარი<br>როსტოვი - ტორპედო<br>სპარტაკი - დინამო<br>ლოკომოტივი - შინიკი | **VI ტური**<br>10 აპრილი<br>სატურნი - ლოკომოტივი<br>რუბინი - კრილია<br>ცსკა - კუბანი<br>ტორპედო მეტ. - როსტოვი<br>ამკარი - ზენიტი<br>როტორი - სპარტაკი<br>შინიკი - დინამო<br>ტორპედო - ალანია | **XI ტური**<br>14 მაისი<br>ტორპედო - შინიკი<br>რუბინი - ამკარი<br>კუბანი - როსტოვი<br>სატურნი - ცსკა<br>სპარტაკი - როტორი<br>ალანია - ლოკომოტივი<br>ზენიტი - კრილია<br>დინამო - ტორპედო მეტ. | **XVI ტური**<br>10 ივლისი<br>კუბანი - ზენიტი<br>ლოკომოტივი - კრილია<br>როსტოვი - დინამო<br>როტორი - ტორპედო<br>სატურნი - შინიკი<br>ტორპედო მეტ. - რუბინი<br>ალანია - სპარტაკი<br>ცსკა - ამკარი | **XXI ტური**<br>28 აგვისტო<br>სპარტაკი - კრილია<br>სატურნი - ცსკა<br>კუბანი - ლოკომოტივი<br>როტორი - ალანია<br>ამკარი - რუბინი<br>როსტოვი - ტორპედო მეტ.<br>დინამო - ზენიტი<br>შინიკი - ტორპედო | **XXVI ტური**<br>16 ოქტომბერი<br>ცსკა - როსტოვი<br>ტორპედო მეტ. - ლოკომოტივი<br>რუბინი - ზენიტი<br>ამკარი - კრილია<br>როტორი - კუბანი<br>შინიკი - სპარტაკი<br>სატურნი - ალანია<br>ტორპედო - დინამო |
| **II ტური**<br>19 მარტი<br>სატურნი - სპარტაკი<br>ალანია - ტორპედო<br>დინამო - ცსკა<br>კუბანი - რუბინი<br>როტორი - კრილია<br>ლოკომოტივი - ამკარი<br>როსტოვი - შინიკი<br>ტორპედო მეტ. - ზენიტი | **VII ტური**<br>17 აპრილი<br>როსტოვი - როტორი<br>დინამო - რუბინი<br>კუბანი - სატურნი<br>ლოკომოტივი - ცსკა<br>სპარტაკი - ამკარი<br>კრილია - ტორპედო<br>ზენიტი - შინიკი<br>ალანია - ტორპედო მეტ. | **XII ტური**<br>19 მაისი<br>ცსკა - შინიკი<br>როსტოვი - სატურნი<br>კუბანი - კრილია<br>ალანია - დინამო<br>ტორპედო მეტ. - ტორპედო<br>როტორი - ამკარი<br>ლოკომოტივი - ზენიტი<br>სპარტაკი - რუბინი | **XVII ტური**<br>17 ივლისი<br>დინამო - ალანია<br>კრილია - კუბანი<br>ტორპედო - ცსკა<br>შინიკი - ტორპედო მეტ.<br>ზენიტი - ლოკომოტივი<br>სპარტაკი - როსტოვი<br>ამკარი - სატურნი<br>რუბინი - როტორი | **XXII ტური**<br>11 სექტემბერი<br>ტორპედო - ამკარი<br>კრილია - ზენიტი<br>როტორი - სატურნი<br>ცსკა - სპარტაკი<br>ტორპედო მეტ. - დინამო<br>ლოკომოტივი - ალანია<br>როსტოვი - კუბანი<br>რუბინი - შინიკი | **XXVII ტური**<br>23 ოქტომბერი<br>სპარტაკი - როტორი<br>კუბანი - ტორპედო<br>კრილია - ტორპედო მეტ.<br>დინამო - სატურნი<br>ლოკომოტივი - რუბინი<br>როსტოვი - ამკარი<br>ალანია - შინიკი<br>ზენიტი - ცსკა |
| **III ტური**<br>27 მარტი<br>ზენიტი - სატურნი<br>რუბინი - როსტოვი<br>დინამო - როტორი<br>კრილია - ცსკა<br>ამკარი - ალანია<br>ტორპედო - ლოკომოტივი<br>შინიკი - კუბანი<br>სპარტაკი - ტორპედო მეტ. | **VIII ტური**<br>24 აპრილი<br>რუბინი - სპარტაკი<br>ტორპედო მეტ. - კუბანი<br>ცსკა - ალანია<br>როტორი - ლოკომოტივი<br>ამკარი - დინამო<br>ტორპედო - ზენიტი<br>შინიკი - კრილია<br>სატურნი - როსტოვი | **XIII ტური**<br>22 მაისი<br>ზენიტი - კუბანი<br>კრილია - ლოკომოტივი<br>ამკარი - ცსკა<br>შინიკი - სატურნი<br>ტორპედო - როტორი<br>დინამო - როსტოვი<br>რუბინი - ტორპედო მეტ.<br>სპარტაკი - ალანია | **XVIII ტური**<br>24 ივლისი<br>კუბანი - სპარტაკი<br>ცსკა - რუბინი<br>ლოკომოტივი - დინამო<br>როტორი - შინიკი<br>სატურნი - ტორპედო<br>ტორპედო მეტ. - ამკარი<br>ალანია - ზენიტი<br>როსტოვი - კრილია | **XXIII ტური**<br>18 სექტემბერი<br>ალანია - ცსკა<br>დინამო - ამკარი<br>კრილია - შინიკი<br>კუბანი - ტორპედო მეტ.<br>როსტოვი - სატურნი<br>ლოკომოტივი - როტორი<br>ზენიტი - ტორპედო<br>სპარტაკი - რუბინი | **XXVIII ტური**<br>29 ოქტომბერი<br>ტორპედო მეტ. - სპარტაკი<br>შინიკი - როსტოვი<br>ტორპედო - ალანია<br>ამკარი - ლოკომოტივი<br>რუბინი - კუბანი<br>როტორი - დინამო<br>ცსკა - კრილია<br>სატურნი - ზენიტი |
| **IV ტური**<br>3 აპრილი<br>ამკარი - როსტოვი<br>რუბინი - ლოკომოტივი<br>შინიკი - ალანია<br>ცსკა - ზენიტი<br>სატურნი - დინამო<br>როტორი - სპარტაკი<br>ტორპედო - კუბანი<br>ტორპედო მეტ. - კრილია | **IX ტური**<br>1 მაისი<br>ამკარი - შინიკი<br>როტორი - ცსკა<br>კუბანი - ალანია<br>როსტოვი - ლოკომოტივი<br>სპარტაკი - ზენიტი<br>დინამო - კრილია<br>სატურნი - ტორპედო მეტ.<br>ტორპედო - რუბინი | **XIV ტური**<br>3 ივლისი<br>როტორი - რუბინი<br>ალანია - კრილია<br>კუბანი - დინამო<br>ლოკომოტივი - სპარტაკი<br>როსტოვი - ზენიტი<br>სატურნი - ამკარი<br>ტორპედო მეტ. - შინიკი<br>ცსკა - ტორპედო | **XIX ტური**<br>14 აგვისტო<br>სპარტაკი - ლოკომოტივი<br>შინიკი - ცსკა<br>კრილია - ალანია<br>ზენიტი - როსტოვი<br>ამკარი - როტორი<br>რუბინი - სატურნი<br>დინამო - კუბანი<br>ტორპედო - ტორპედო მეტ. | **XXIV ტური**<br>24 სექტემბერი<br>ტორპედო - კრილია<br>რუბინი - დინამო<br>ცსკა - ლოკომოტივი<br>როტორი - როსტოვი<br>შინიკი - ზენიტი<br>ტორპედო მეტ. - ალანია<br>სატურნი - კუბანი<br>ამკარი - სპარტაკი | **XXIX ტური**<br>7 ნოემბერი<br>ალანია - ამკარი<br>ცსკა - დინამო<br>ლოკომოტივი - ტორპედო<br>კუბანი - შინიკი<br>როსტოვი - რუბინი<br>ზენიტი - ტორპედო მეტ.<br>კრილია - როტორი<br>სპარტაკი - სატურნი |
| **V ტური**<br>7 აპრილი<br>როსტოვი - ცსკა<br>კუბანი - როტორი<br>ალანია - სატურნი<br>ლოკომოტივი - ტორპედო მეტ.<br>ზენიტი - რუბინი<br>კრილია - ამკარი<br>დინამო - ტორპედო<br>სპარტაკი - შინიკი | **X ტური**<br>8 მაისი<br>ლოკომოტივი - კუბანი<br>შინიკი - რუბინი<br>ალანია - როსტოვი<br>ტორპედო მეტ. - როტორი<br>ამკარი - ტორპედო<br>ზენიტი - დინამო<br>ცსკა - სატურნი<br>კრილია - სპარტაკი | **XV ტური**<br>7 ივლისი<br>კრილია - როსტოვი<br>რუბინი - ცსკა<br>შინიკი - როტორი<br>ტორპედო - სატურნი<br>ამკარი - ტორპედო მეტ.<br>ზენიტი - ალანია<br>სპარტაკი - კუბანი<br>დინამო - ლოკომოტივი | **XX ტური**<br>21 აგვისტო<br>შინიკი - ამკარი<br>ზენიტი - სპარტაკი<br>ტორპედო მეტ. - სატურნი<br>კრილია - დინამო<br>ცსკა - როტორი<br>რუბინი - ტორპედო<br>ლოკომოტივი - როსტოვი<br>ალანია - კუბანი | **XXV ტური**<br>2 ოქტომბერი<br>როსტოვი - ტორპედო მეტ.<br>ალანია - როტორი<br>სპარტაკი - ტორპედო<br>კრილია - რუბინი<br>დინამო - შინიკი<br>ზენიტი - ამკარი<br>ლოკომოტივი - სატურნი<br>კუბანი - ცსკა | **XXX ტური**<br>11 ნოემბერი<br>დინამო - სპარტაკი<br>ტორპედო მეტ. - ცსკა<br>როტორი - ზენიტი<br>სატურნი - კრილია<br>რუბინი - ალანია<br>ამკარი - კუბანი<br>ტორპედო - როსტოვი<br>შინიკი - ლოკომოტივი |

ჭადრაკი

**თეიმურ რაჯაბოვი (დაიბ. 1987 წ. 12 მარტს) მართლაც რომ, მეტეორივით შეიჭრა საჭადრაკო ელიტაში. მაშინ, როცა თვით გამოჩენილ დიდოსტატებსაც დიდი შერჩევით იწვევენ სუპერ-ტურნირებში, ბაქოელ მოჭადრაკეს, პირიქით, ყველა ეპატიჟება. დიახ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, ახლავე ვთქვათ, საჭადრაკო სამყარო მისი სახით ახალ მსოფლიო ჩემპიონს ელის. თანაც, ეს შეიძლება საკმაოდ მალე მოხდეს.**

**გასაგებია, რაჯაბოვის პიროვნება დიდ ინტერესს იწვევს. ამასთან, ცხადია, ვის შეუძლია უკეთესად ილაპარაკოს რაჯაბოვზე, თუ არა თვით რაჯაბოვს?**

# 17 წლის „მეტეორი“

**– შარშან, ტურნირების გრძელი სერიის დაწყებამდე, მახსოვს, ვთქვი – მთავარია არ დავიბნე, როცა ელიტის წარმომადგენლებს შევხვდები, ვაჩვენო, რაც შემიძლია. რას იტყვის ახლა, როცა უკან დაგვრჩა 2003 წლის ვეიკ-ან-ზეე და ლინარესი, სარაევო და დოს-ერმინასი, ენგენ-ლებენი და დორტმუნდი?**

– მე ბევრი ახალი რამ შევიტყვე. თითოეული პარტია, თითოეული ანალიზი შეხვედრის შემდეგ პატარა აღმოჩენად მექცა. ძალზე შემეცვალა საჭადრაკო ელიტის შეფასება. თუ მანამდე ვთვლიდი, რომ ისინიც, ასე ვთქვათ, ისეთივე დიდოსტატები იყვნენ, ახლა უკვე მივხვდი: არა, სრულიად სხვანაირი ადამიანები არიან. მათ ჭადრაკის განსხვავებული გაგება აქვთ, მეტი პასუხისმგებლობითაც თამაშობენ, ერთი ნიუანსიც კი არ გამოეპარებათ. თუკი ცხოვრებაში ერთხელ მაინც მოუგებ ისეთი დონის მოჭადრაკეს, როგორიც კასპაროვია, სხვები ინსტიქტურად იწყებენ შენთან თამაშს, ასე ვთქვათ, „მხუთავ“ სტილში, გასაქანს არ მოგცემენ.

ეტყობა, მე ჯერჯერობით ვერ გამოვიმუშავე სუპერტურნირებისათვის შესაფერისი სტილი: ღღეისათვის ძალზე აგრესიულ, ღია ჭადრაკს ვთამაშობ. იმის გამო, რომ არასაკმარისი სადებიუტო მომზადება მაქვს, მეტოქეებს საშუალება ეძლევათ, შავებით პოზიცია გაათანაბრონ, თეთრებით კი დროგამოშვებით მომახვიონ შინ მომზადებული ვარიანტები. საკუთარ თავზე გამოვცადე, როგორ იბრძვიან – პირველიდან უკანასკნელ სვლამდე და, რაც მთავარია, მთელ პარტიას უაღრესად თანაბარ, მეტად მაღალ დონეზე ატარებენ.

ეს გახლავთ თავისებური „მასტერკლასი“: თითოეული ტურნირის შემდეგ, შინ რომ ვბრუნდებოდი, ვხედავდი, რა ნაკლი მქონდა, რა შეცდომები მომივიდა. ელიტა სწორედ იქ „მირტყამდა“, სადაც ყველაზე სუსტად ვგრძნობდი თავს, მიმანიშნებდა, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ დამრჩა სასწავლი. ამ ტურნირებმა უდიდესი პრაქტიკული გამოცდილება მომცეს.

**– წლის განმავლობაში შეიცვალა თუ არა შენი სათამაშო სტილი?**

– ეტყობა, შეიცვალა. შევამჩნიე, რომ ვეიკ-ან-ზეეში უფრო ნაკლებ აგრესიულად ვთამაშობდი, ვიდრე დორტმუნდში – ამან, უნდა ვაღიარო, მეც განმაცვიფრა. თითქოს მიღებულ გამოცდილებას უნდა ვეიძულებინე, უფრო ფრთხილად, უფრო პოზიციურად მეთამაშა. რა თქმა უნდა, მე ისე ვერ ვითამაშებდი, როგორც კრამნიკი, რომლის სტილი პრაქტიკულად გამორიცხავს წაგების რისკს, მაგრამ თავის შეკავება ნამდვილად შემიძლია. მე კი როგორ ვთამაშობდი? ჩვეული კომბინაციური სტილით, ვცდილობდი მეტოქის სისუსტის გამოყენებას და არც იმას ვერიდებოდი, რომ მათაც შეუძლიათ „ცეცხლის გახსნა“.

**– პარტიის დროს შეგიძლია საკუთარი თავის კონტროლი, თუ მთლიანად ბრძოლაში ხარ ჩართული?**

– დიახ, მთლიანად ვარ ჩართული, მაგრამ რაღაც გაუმართლებელ გადაწყვეტილებებს, რომელთა ახსნა შემდეგ არ შემეძლოს, პრაქტიკულად არასოდეს ვიღებ. საერთოდ ჩემს თავს ვაკონტროლებ, და, ძალიან იშვიათად ხდება, როცა ძალზე ძლიერ სვლებს ძალზე სუსტებს მივაყოლებ ხოლმე.

**– გულახდილად გვითხარი: ამ სერიის პირველი, ვეიკ-ან-ზეეს ტურნირის წინ, არ გეშინოდა, რომ კარგად „დაგამქავებენ“?**

– ბევრი „კეთილმოსურნე“ თვლიდა, რომ ვეიკ-ან-ზეეში სასტიკად გამისწორდებოდნენ: რაც არ უნდა იყოს, ასეთი დონის მოჭადრაკეებთან არასოდეს მეთამაშა. არ ვფიქრობდი, რომ ასეთნაირ უნდობლობას მიცხადებდნენ. ამან თავისებურად მიბიძგა კიდეც – გადავწყვიტე საწინააღმდეგოს დამტკიცება. პირველ ტურში შავებით ანანდთან კი დავამთავრე პარტია ყაიმით, მაგრამ შემდეგ ორი მძიმე დარტყმა მივიღე – ბარეევსა და ტოპალოვთან. შემდეგ მოულოდნელად ტიმანი დავამარცხე და ამან მიშველა. გადამწყვეტი კი პონომარიოვთან შეხვედრა გამოდგა. შავებით გამარჯვება, პირველ რიგში, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით იყო მნიშვნელოვანი. დავრწმუნდი, რომ ასეთი დონის მოჭადრაკეებთანაც შემეძლო თამაში. შემდეგ ყაიმით დავასრულე შეხვედრა კრამნიკთან, მოვუგე კრასენკოვს, როგორც თანაბარი თანაბარს, ისე ვეთამაშე გრიშჩუკს...

**– განა პარტიებს პონომარიოვსა და გრიშჩუკთან ასეთი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა? ჯერ კიდევ 2002 წელს კასპაროვმა მომავლის მსოფლიო ჩემპიონი გიწოდა.**

– არა, რაიმე განსაკუთრებული გრძნობა ამ პარტიებს არ გამოუწვევია. აი, ჩვენ ყველას რომ დაახლოებით თანაბარი რეიტინგი გვქონოდა და უკვე ჩამოყალიბებული თამაში, მაშინ კი მივაქცევდი ყურადღებას. მე მათზე უარესი რეიტინგი მაქვს, ისინი 4 წლით უფროსები არიან. მე ჯერ ამ სამყაროში გარკვევა და შეჩვევა მჭირდება, ისინი კი სისტემატურად მონაწილეობენ პირველხარისხოვან ტურნირებში. მოვლენების დაჩქარება და გადასწრება საჭირო არ არის.

და აი, რა ჩავაგონე საკუთარ თავს: ეს ხომ უკვე ბავშვური ჭადრაკი აღარ არის, სადაც შეიძლება მეტოქეს საკუთარი ფიგურების ნახევარი შესწირო, შემდეგ კი რაღაც ილეთი გამოიყენო და მოიგო. აქ ნამდვილი თამაშია, უდიდესი პასუხისმგებლობა. დიახ, მე უნდა დამემტკიცებინა, რომ ასეთ ტურნირებში შემთხვევით როდი მიწვევენ, გამემართლებინა იმ ორგანიზატორების იმედი, ვინც მიმიპატიჟა. ზოგიერთ ტურ-



ნირში „გადავიწვი“ კიდეც, უარესად ვთამაშობდი, ვიდრე შემეძლო. როგორც უკვე ვთქვი, ასეთ შეჯიბრებებში დიდი დაძაბულობაა, არ შეიძლება მოდუნება. თუ რაიმე გამოგრჩა, მაშინვე „თავში გითავაზებენ“. როცა ყველა პარტიას აგრესიულად ატარებ, ყველგან ბრძოლისაკენ მიილტვი, ემზადები და ყოველივე ეს კოლოსალურ ენერგიას მოითხოვს.

**– როგორ უყურებ იმას, რასაც შენი თამაშის შესახებ წერენ?**

– ძალიან სასიამოვნოა, როცა გაქებენ. ცუდად მოხსენიება არ მსიამოვნებს. საშუალო დონის მოჭადრაკეებს ჩემს შესახებ იმდენი ცუდი რამ აქვთ ნათქვამი და დაწერილი... არც კი ვიცი, რას მემართლებიან. აი, დიდი მოჭადრაკეები კი ჩემზე უარყოფითს არაფერს ამბობენ. მე როგორ უნდა მოვიქცე? დავიწყო ყველგან ყვირილი, რატომ უშვებენ 13 წლის კარიაკინს დორ-ერმანასში? მე ამაში რაიმე განსაკუთრებულს არაფერს ვხედავ. ასაკის მიუხედავად, იგი ჩინებული დიდოსტატია. უნდა პატივი ვცეთ ადამიანების მიღწევებს, ორგანიზატორების სურვილს. ორგანიზატორებს ხომ სურთ, რომ მათმა ტურნირმა ყურადღება მიიპყროს. დიახ, სწორედ ამის გამო იწვევენ მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა დიდოსტატს.

რაც შეეხება ჩემს მიწვევებს ტურნირებში, კრიტიკოსებმა დეე ის გაიხსენონ, რას მიაღწიეს 15 წლის ასაკში. იციან კი, რომ 12 წლისას მე მსოფლიოსა და ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატებში 7 მედალი მოვიპოვე, აქედან – 5 ოქროსი? 9 წლისამ ვიქტორ კორჩნოის მოვუგე ერთდროული თამაშის სეანსში საათებით 6 დაფაზე, 11 წლისამ კასპაროვის თასი მოვიპოვე 16-წლიანთათვის, 12 წლისა – ევროპის ჩემპიონი გავხდი 18-წლიანებში, 15 წლისა – მსოფლიოს ნაკრებში ვთამაშობდი რუსეთის ნაკრების წინააღმდეგ.

ადამიანის გაკრიტიკება ძალზე იოლია. თუმცა უნდა ვთქვა, რომ უსამართლო კრიტიკა სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ჩემი თამაში უნაკლო იყოს. მე ფილოსოფიურად ვეკიდები მტრულ და არაკეთილმოსურნე გამოხდომებს. აი, როცა ჩემს თამაშს კონსტრუქციულად არჩევენ, ამას უკვე სიკეთე მოაქვს.

ისე კი ვთვლი, რომ 2003 წელს ორგანიზატორების იმედები გავამართლე, მთელი სეზონი წარმატებით წარვმართე. პოლგარს მთელი სიცოცხლის მანძილზე უნდოდა კასპაროვის დამარცხება და, როცა მოსკოვში გარის სწრაფი პარტია მოუგო, განაცხადა, რომ ეს უბედნიერესი დღე იყო მის ცხოვრებაში. მე კი კასპაროვი ჩვენს პირველივე შეხვედრაში დავამარცხე, ამასთან – კლასიკურ ჭადრაკში. აი, როცა იწყებენ ლაპარაკს იმის შესახებ, რომ მე ვერაფერს მივაღწიე, შემიძლია ამ პარტიის, ჩემი ძლიერი „კოზირის“ მოყვანა. გარდა ამისა, მე მოვუგე პონომარიოვს, ანანდს, მთელ რიგ პირველხარისხოვან დიდოსტატებს.

მოამზადა
გივი გამრეკელმა.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

სპორტი
საქართველოს რესპუბლიკა
№ 50, კვირა, 29 თებერვალი, 2004 წელი.

კრივის სამყაროში

# ლენოქს ლუისის შემდეგ

**კრივის სპეციალისტების აზრით, უკანასკნელი 10 წლის მანძილზე არ ყოფილა ლენოქს ლუისის დარი მძიმეწონოსანი მოკრივე. პროფესიულ კრივში სამი ყველაზე პრესტიჟული ორგანიზაცია არსებობს: WBC, WBA და YBF. ლუისი სხვადასხვა დროს სამივე ამ ვერსიით მსოფლიო ჩემპიონი იყო. 1993 წელს მან თავისი პირველი წოდება მოიპოვა, (WBC), ხოლო 1999 წლის ნოემბერში, ევანდერ ჰოლიფილდის დამარცხების შემდეგ, სამივე ქამარს დაეუფლა, ეს კი უკვე მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონობას ნიშნავდა. მართალია, რამდენიმე ხნის შემდეგ კრივის ჩინოვნიკებმა ლუისს ორი ქამარი (WBA და UBF) წაართვეს, მაგრამ მაინც არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ მსოფლიოში უძლიერესი მოკრივე სწორედ იგი იყო.**

როგორ შეიძლებოდა იმის იგნორირება (როგორც ძველი რომაელები ამბობდნენ, იგნორირება არგუმენტი როდია), რომ 38 წლის მოკრივემ 41 ბრძოლა მოიგო და მხოლოდ ორი წააგო. მან ყველა ღირსეული მეტოქე დაამარცხა, მათ შორის ევანდერ ჰოლიფილდი და მაიკ ტაისონი, თანაც ისე, რომ გამარჯვებულის დიდი უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა.



მართალია, წააგო ორი შეხვედრა (ოლივერ მაკკოლსა და ჰასიმ რაჰმანთან), მაგრამ მატჩ-რევანშებში ხომ ორივეს შავი დღე აყარა. ერთი სიტყვით, იამაიკური წარმოშობის ინგლისელ მეტოქეს მთელი 10 წლის მანძილზე პრაქტიკულად ვერაფერი დაუპირისპირეს, თუმცა მის მოშორებას ბევრი ეცადა. ლუისს არ აპატიეს, რომ იგი ყოველნაირად იცილებდა ორთაბრძოლას სახიფათო მეტოქე კრის ბირდთან, დაუკავშირდა კიდეც ისეთ სახელგატეხილ პრომოუტერს, როგორიც დონ კინგია.

აი, რა განაცხადა ლუისის ერთმა დიდმა მტერმა, მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა ლარი ჰოლსმა:

— ლუისი არასოდეს გამოსულა რინგზე ისეთი მეტოქეების წინააღმდეგ, რომლებმაც ნამდვილად იციან ბრძოლა (ჰოლიფილდი? ტაისონი? ვიტალი კლიჩკო?). მის შესახებ ადამიანები მხოლოდ ორ რამეს დაიმახსოვრებენ: პირველი ის არის, რომ მახლობლად, დედას თუ არ ჩავთვლით, არასოდეს უნახავთ ქალი, მეორე — იგი გულბოროტი იყო. ყოველთვის ძალიან ეშინოდა, ვინმემ რომ კარგად არ დანაყოს.

გულშემატკივარმა თვით განსაჯოს, თუ რამდენად ობიექტურია ეს სიტყვები.

2003 წლის 21 ივნისს ლუისი № 1 პრეტენდენტ ვიტალი კლიჩკოს შეხვდა. მიმომხილველები თვლიდნენ, რომ ამ მომენტისთვის ჩემპიონის მზადყოფნა აშკარად არ იყო დამაკმაყოფილებელი, მან თავისი შესაძლებლობების 50 პროცენტიც კი ვერ აჩვენა. ასე იყო თუ ისე, ორთაბრძოლამ არაერთგვაროვანი შთაბეჭდილება დატოვა. კლიჩკომ მძიმე ტრავმა მიიღო და მსაჯი იძულებული იყო, მეექვსე რაუნდში მატჩი შეეწყვიტა. მეორე მხრივ, შეხვედრის შეწყვეტის დროისათვის პრეტენდენტი ქულებით წინ იყო, თუმცა ქულებს რა აზრი აქვს, როცა ტექნიკური ნოკაუტი აღინიშნება? საინტერესოა, რომ კლიჩკომ იქვე ტელეკამერების წინ მოსთხოვა გამარჯვებულს მატჩ-რევანში, თუმცა ლუისმა ზურგი შეაქცია, არაფერი უთხრა.

ამის შემდეგ მთელი 7 თვის განმავლობაში არ შეწყვეტილა მითქმა-მოთქმა ამ მატჩ-რევანშის შესახებ. ფიქრობდნენ, რომ გამარჯვების მიუხედავად, ლუისი დარწმუნდა მეტოქის სიძლიერეში და განმეორებით შეხვედრაზე არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდებოდა. უცადეს, უცადეს...

WBC-ს პრეზიდენტმა ხოსე სულეიმანმა პირდაპირ შეუთვალა: „ან 15 მარტამდე დადებით პასუხს გაგვცემ რინგზე გამოსვლის შესახებ, ან წოდებას ჩამოგართმევთ". ლუისმა კი სამართლიანად გადაწყვიტა, რომ სჯობს წოდებაზე ნებაყოფლობით თქვას უარი, ვიდრე სამარცხვინო რამ მოხდეს — ჩამოართვან ჩემპიონობა. ამიტომ მან ასეთი განცხადება გააკეთა:

— მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვება რთულია, მაგრამ უფრო ძნელია მისი შენარჩუნება. მე ვიგრძენი, რომ კრივთან გამოთხოვების დრო დადგა, რახან აღარ შემიძლია ჩემი საქმის 110 პროცენტით შესრულება.

ჟურნალისტების სიტყვით, ეს ლუისმა დედამისის, ვაიოლეტის თხოვნით გააკეთა, რომელსაც სურს შვილი ყოველგვარი განსაცდელისგან დაიფაროს. კმარა, მან ხომ პროფესიულ კრივში 14-წლიანი კარიერის მანძილზე იმდენი თანხა მიიღო, ერთი სიცოცხლის ნაცვლად ათიც რომ ჰქონდეს, ეყოფა.

რა თქმა უნდა, ლუისი კლიჩკოს აღარ შეხვდება, მაგრამ ხომ არ არის შესაძლებლობა, რომ იგი ოდესმე კრივს დაუბრუნდეს, როგორც ეს ძალიან დაუფიქრებლად გააკეთა მუჰამედ ალიმ? ვთქვათ, 20 მილიონი დოლარი რომ შესთავაზონ, როგორც ეს ვიტალი კლიჩკოსთან აღუთქვეს. როგორც ექსპერტები ფიქრობენ, ეს გამორიცხულია, ლუისი ალი არ არის, რომ ემოციებს აჰყვეს.

ერთი სიტყვით, „მეფე გარდაიცვალა, გაუმარჯოს მეფეს!" მაგრამ ეს მეფე ვინ იქნება? უკვე გადაწყვეტილია, რომ საჩემპიონო ბრძოლა მოეწყობა № 1 და № 2 პრეტენდენტს შორის, თუმცა კბილებს ბევრი სხვაც ილესავს (რახმანი, ბირდი, ტუა, შესაძლებელია ტაისონიც). ერთმანეთს უკვე აპრილში უნდა შეხვდნენ უკრაინელი ვიტალი კლიჩკო და კორი (კორნელიუს) სანდერსი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან. ამ მატჩზე ზოგიერთმა უკვე გამოთქვა აზრი: ასე, მაგალითად, რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ნიკოლაი ხრომოვი თვლის, რომ კლიჩკო ობიექტურად სანდერსზე ძლიერია. არა მგონია, რომ უკრაინელის მოწინააღმდეგემ ხუთ რაუნდზე მეტი გაძლოს. სხვების აზრით, კლიჩკოს მატჩის მოგების 80 პროცენტი შესაძლებლობა აქვს. იგი შეეცდება სამაგალითოდ გაუსწორდეს სანდერსს, რომელმაც შარშან მატჩის დასაწყისშივე ნოკაუტში გაისტუმრა ვიტალი კლიჩკოს უმცროსი ძმა — ვლადიმირი. საინტერესოა, რომ მაშინ უმცროსმა კლიჩკომ, თუმცა ფავორიტად ითვლებოდა, საერთოდ ვერაფერი დაუპირისპირა ამ ცაცია ექს-პოლიციელს. ასეთი საშინელი მარცხი პირდაპირ უჩვეულო იყო ისეთი მაღალი მოკრივისათვის, როგორიც ვლადიმირ კლიჩკოა.

ახლა ფავორიტად ვიტალი კლიჩკო ითვლება, თუმცა, ვინ იცის...

**გივი თორელი.**

პიროვნება

# სამურზაყანოელი მხედარი

**კაპიტონ ნაჭყებიას სახელობის იპოდრომზე უკვე 11 წელიწადია ოჯახით ცხოვრობს გალელი მხედარი სპორტის ოსტატი მარდონ ლაბაშია.**

**გალში დაბადებული ბიჭი პატარაობიდანვე ეზიარა ცხენოსნობას მწვრთნელ დაზმირ ქეცბაიასთან.**

1962 წელს, როდესაც მარდონი ცხენზე პირველად შეჯდა, მოგეხსენებათ, შესანიშნავი სპორტული ბაზა არსებობდა, რომელიც უხვად ამარაგებდა საქართველოს პირველხარისხოვანი მხედრებით.

ლაბაშია მალე ჩაერთო საერთო ფერხულში და ჯერ აფხაზეთის, მერე კი საქართველოს პირველობებზე უკვე წარმოჩინდა როგორც პერსპექტიული სპორტსმენი დაბრკოლებათა გადალახვასა და დოღში. მერე და მერე წარმატებებმაც იმრავლა და დღეს უკვე გამოცდილ მხედარს უამრავი სპორტული ჯილდო აქვს მოპოვებული. კერძოდ — 35-ჯერ გაუმარჯვია საქართველოს პირველობებზე დაბრკოლებათა გადალახვაში, 24-ჯერ კი მეორე პრიზიორი გამხდარა. წარმატებით გამოდიოდა დოღშიც.

მარდონ ლაბაშია კარგად უხამებს აქტიურ სპორტსმენობას საწვრთნელ საქმიანობას. ჯერ კიდევ 1972 წლიდან გახლდათ გალის რაიონის ცხენოსანთა გუნდის უფროსი მწვრთნელი, აქვე გაზარდა მრავალი ცხენოსანი, მათ შორის — საკუთარი ძმა, სპორტის ოსტატი ნუგზარ ლაბაშია, აგრეთვე, ენვერ ჯაფარიძე, რამინ მესხია და ბევრი სხვა.

აფხაზეთიდან დევნილი მხედარი ოჯახთან ერთად ცხოვრობს თბილისის იპოდრომზე და ორ გოგონასთან ერთად, ასევე სპორტულ ტრადიციებზე ზრდის ბიჭსაც — ცოტნეს, რომელიც უკვე საკმაოდ დაოსტატებული მხედარია დოღსა და დაბრკოლებათა გადალახვაში. ცოტნე ლაბაშია შეყვანილია საქართველოს ნაკრებში, მამის მიერ გაზრდილ ცხენოსნებთან ერთად ვარჯიშობს და ხარობს მეგობრების წარმატებით. მაგალითად, მამის აღზრდილმა ირაკლი ბულესკირიამ მესამე ადგილი დაიკავა თანამეგობრობის ქვეყნების პირველობაზე...

სამურზაყანოელი მხედარი, აღმზრდელი და მწვრთნელი მარდონ ლაბაშია თბილისის ჟოკეი-კლუბის მწვრთნელია დაბრკოლებათა გადალახვაში, ხელმძღვანელობს ეროვნულ სახეობებსაც — ისინდს, ცხენბურთს და არცთუ ურიგოდ.

ერთი სიტყვით, ქართველი ვაჟკაცი და შესანიშნავი მხედარი კაცურად აკეთებს ეროვნულ საქმეს, წუთითაც არ კარგავს იმედს, რომ მამაპაპისეულ ადგილს დაუბრუნდება და იქ გააგრძელებს საყვარელ საქმიანობას.

**თამაზ ძიძავა.**

**სურათზე: მარდონ ლაბაშია.**



ათლეტიზმი

# ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად

## გრიგოლი – ათლეტთა ოჯახიდან   III ნაწილი

ჩვენი რუბრიკის დღევანდელი სტუმარი **გრიგოლ ნიკოგოსოვი** (დაიბადა 1980 წელს) კოლეგებს შორის მასიური ბიცეპსებით გამოირჩევა — მათი გარშემოწერილობა 54 სმ-ია. ბიცეპსების დამუშავება გრიგოლის ოჯახში მამამისმა, წარსულში ცნობილმა თბილისელმა კულტურისტმა არტემ ნიკოგოსოვმა დაიწყო გასული საუკუნის 70-იან წლებში და კოლოსალური შრომის შედეგად მათი პერიმეტრი 48 სმ-ს გადააცილა, რაც იმ დროისათვის დიდ მიღწევას წარმოადგენდა. საილუსტრაციოდ მოგახსენებთ, რომ მის თანამედროვე კულტურისტთაგან უფრო მეტი მოცულობის ბიცეპსები მხოლოდ აწ განსვენებულ ქართული ათლეტიზმის ვეტერანს ენრიკო კოპლატაძეს ამშვენებდა (50 სმ).

ამჟამად გრიგოლს ბიცეპსების ზომით ერთადერთი ათლეტი — მსოფლიო ჩემპიონი და რეკორდსმენი ზემძიმე წონაში გერონტი ჯმუხაძე უსწრებს (55 სმ).

სამწუხაროდ, ტრადიციული უსახსრობის გამო ვერ ხერხდება გრიგოლის მსოფლიოს წლევანდელ ჩემპიონატზე წაყვანა, რომელსაც 6 აგვისტოს აშშ-ს ქალაქი ატლანტიკი-სიტი უმასპინძლებს. იქ თავის წონით კატეგორიაში (110 კგ-მდე) ბიცეპსებით წონის აწევაში გრიგოლს მეტოქეობას ჩვენთვის ცნობილი ათლეტებიდან ჯერჯერობით ვერავინ გაუწევს.

გთავაზობთ რამდენიმე ვარჯიშს გრიგოლ ნიკოგოსოვის შესრულებით.

**1. ფრანგული აჭიმვა (სურ. 1).** ათლეტი თავსუკან ღრმად უშვებს შტანგას და მხრის სამთავა კუნთების (ტრიცეპსების) ძალით წევს მას. სრულდება 8 მისვლა 10-10 გამეორებით.

**2. ბლოკის სახელურების მეშვეობით რიგრიგობით ორთავა კუნთების (ტრიცეპსების) ვარჯიში (სურ. 2).** თითოეული ხელისათვის სრულდება 8 მისვლა 12-12 გამეორებით.

**3. ბლოკის ღერძის ჩამოქაჩვით ტრიცეპსების ვარჯიში (სურ. 3, 4).** სრულდება 8 მისვლა 15-15 გამეორებით.

აღნიშნული ვარჯიშები შეიძლება შესრულდეს სერიის სახითაც შემდეგი თანმიმდევრობით:

1)-ის I გამეორება, 2)-ის I, 3)-ის I.

1)-ის II გამეორება, 2)-ის II, 3)-ის II და ა.შ.

**ზურაბ ჭავჭანიძე.**

**თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.**













გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

## საგზაო პოლიცია

# მარტო საჭე კი არა, ადამიანთა სიცოცხლე გაბარია!

**დადგა დრო, სინამდვილეს თვალი გავუსწოროთ და ვაღიაროთ: არც სახელმწიფო ავტოინსპექცია, დღეს რომ საგზაო პოლიციად იწოდება, არც ადრე და არც ახლა საზოგადოების თვალში დიდი რეპუტაციით არ სარგებლობდა. ამის ძირითადი მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, ის მოძველებული მეთოდები გახლავთ, რომლის გამოყენებითაც ცდილობს საგზაო პოლიცია წესრიგის დამყარებას ჩვენს გზებსა და გზაჯვარედინებზე. თუმცა მართლები არ ვიქნებით ამ გაურკვევლობაში მარტო საგზაო პოლიცია დავადანაშაულოთ, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის ლომის წილი მძღოლებსა და მოძრაობის მონაწილეებზე მოდის.**

ასეა თუ ისეა, ფაქტია, რომ ყოველწლიურად იზრდება საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა რიცხვი, რომლებიც უმსხვერპლოდ არ მთავრდება. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოთხოვნა საკანონმდებლო აქტებში ცვლილებათა პაკეტის შეტანის შესახებ, მართლაც დროულია.

თავის მხრივ ცვლილებები ითვალისწინებს: საგზაო მოძრაობის მონაწილეებთან ურთიერთობების განმსაზღვრელი ნორმატიული აქტების მოთხოვნათა გამარტივებას; მოძრაობის უსაფრთხოებისათვის ნაკლებად სახიფათო, ე. წ. უმნიშვნელო დარღვევებისათვის პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი კანონმდებლობის ლიბერალიზაციას, ხოლო საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების გამომწვევი მოძრაობის წესების სერიოზული დარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელების გამკაცრებას (გაზრდას).

ამ საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მიღებით, შესაძლებელი გახდება საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების აღსაკვეთად ყველა იმ საშუალების ამოქმედება, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას არ საჭიროებს. ამგვარ საშუალებად მიგვაჩნია უსაფრთხოების ღვედებისა და მოტოჩაფხუტების გამოყენება, რომელიც თუ საზღვარგარეთის ქვეყნების ინფორმაციას დავეყრდნობით, 3,7 პროცენტით ამცირებს სიკვდილიანობას საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების დროს.

ადამიანის გადარჩენის ამ უპრეტენზიო საშუალების გამოუყენებლობამ 2003 წლის განმავლობაში მომხდარი ავტოავარიების დროს რამდენიმე ათეული ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. 2113-მა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევამ 572 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, 2 585 კი დაშავდა. საგანგაშოა ის ფაქტი, რომ წინა, 2002 წელთან შედარებით, ჩვენი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, სამივე მაჩვენებლებით მატებაა. რაც იმას ნიშნავს, რომ ავტოავარიათა რაოდენობა 102 ერთეულით გაიზარდა, დაღუპულთა რაოდენობა 57-ით, ხოლო დაშავებულთა რიცხვი 76 ერთეულით. ნებისმიერი სახის საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა სამწუხაროა, მაგრამ როცა ქვეითად მოსიარულეებზე შეჯახება კატასტროფულად იზრდება, დაფიქრება გვმართებს, როგორც ავტომანქანის მძღოლებს, ასევე ქვეითად მოსიარულეებს. წლის განმავლობაში ქვეითზე შეჯახების 943 ფაქტი მოხდა, რასაც 231 ადამიანის სიკვდილი მოჰყვა, 820 კი დაშავდა. ამავე პერიოდში სატრანსპორტო საშუალებების ერთმანეთზე შეჯახების 622 შემთხვევა დაფიქსირდა, რის შედეგადაც დაიღუპა 155, ხოლო დაშავდა 1098 ადამიანი.





მომხდარ ავტოავარიათა ანალიზი გვიჩვენებს, რომ შემთხვევები დღე-ღამის სხვადასხვა დროს სხვადასხვა რაოდენობისაა. მაგალითად, გასული წლის მანძილზე 20 საათიდან 24 საათამდე 457 ავტოავარია მოხდა, 16 საათიდან 20 საათამდე – 421 ავტოავარია, ხოლო, 00 საათიდან 08 საათამდე – 289 ავარია. თუ ზემოთ ხსენებული დროის პერიოდში მომხდარ ავარიებს რაიმე გამართლებას ვუპოვით (გადატვირთული მოძრაობა, სიჩქარე, გასწრების მცდელობა და სხვა.), რა გამართლება უნდა უპოვო შუაღამის საათებში მომხდარ ავარიებს, როცა ქუჩა თითქმის ცარიელია! დღეების მიხედვით კი ორშაბათი, ხუთშაბათი და კვირა გამოირჩევა ავტოავარიების სიმრავლით.

არასახარბიელოა გასული წლის ბავშვთა საგზაო-სატრანსპორტო ტრავმატიზმის სტატისტიკური მონაცემებიც. წლის განმავლობაში დაიღუპა 20 და დაშავდა 135 მოზარდი.

მრავალწლიანი ანალიზის შედეგად დადგენილია საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა გამომწვევი ძირითადი მიზეზები: მძოლების მიერ საგზაო მოძრაობის წესების ისეთ მოთხოვნათა უხეში დარღვევები, როგორიცაა, დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება, რისი მიზეზითაც მომხდარია 755 ავტოავარია, გასწრების წესების დარღვევის გამო – 161, მანევრის წესების დარღვევის გამო კი – 184 ავტოავარია. ამ მიზეზებს შორის ასევე ერთ-ერთი ხელშემწყობი პირობაა საავტომობილო გზების, მათზე დისლოცირებული მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკურ საშუალებათა უკიდურესად არადამაკმაყოფილებელი საექსპლუატაციო პირობებიც. ამ მიზეზით მომხდარია 174 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, დაიღუპა 44, დაშავდა 243 ადამიანი. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, მხოლოდ საგზაო პოლიციელების მეშვეობით, მათი მწირი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გათვალისწინებით, მეტად გართულებულია არსებული სატრანსპორტო ნაკადების უსაფრთხო და შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველყოფა.

საგზაო პოლიცია, რაც არ უნდა შემართებით ებრძოდეს საგზაო მოძრაობის წესების დამრღვევებს, ვერ უზრუნველყოფს უსაფრთხო მოძრაობას, თუ თავად მას, ვინც საჭეს უზის, არ ექნება უმაღლესი პასუხისმგებლობის გრძნობა, იმის შესახებ, რომ მარტო საჭე კი არა, ადამიანთა სიცოცხლეც აბარია.

**თამაზ ღვინაძე,**
**საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს პრესცენტრის უფროსი, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი.**

## რა ვიცით უსაფრთხოების ღვედების შესახებ



**მრავალი ქვეყნის მეცნიერულმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ უსაფრთხოების ღვედების გამოყენება საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების დროს 3,7-ჯერ ამცირებს სიკვდილიანობას, უფრო მეტიც, მგზავრთა 80 პროცენტი საერთოდ უვნებელი რჩება.**

**ფრანგმა მოქალაქემ გუსტავ დეზი ღებემ ასეთი უსაფრთხოების ღვედები, ჯერ კიდევ 1903 წელს შესთავაზა ავტომფლობელებს, მძღოლისათვის და მგზავრთათვის წინა და უკანა სავარძლების აღსაჭურვად.**

**ძვირფასო მოქალაქენო, თქვენივე საკეთილდღეოდ ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით.**

**საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს პრესცენტრი.**

## წიგნი

# წაიკითხოს მან, ვისაც სიძნელეების არ ეშინია

**ფილოსოფიური ლიტერატურით ქართველები მაინცდამაინც განებივრებულები არა ვართ. უპირველესად ვგულისხმობ ფართო მკითხველ საზოგადოებას, რომელსაც ადვილად გასაგები ენით დაწერილი წიგნები ესაჭიროება. ამ მხრივ განსაკუთრებით ზარალობს მოზარდი თაობა. როგორც პროფესორი მიხეილ მახარაძე აღიარებს, „გვაქვს პოპულარული საყმაწვილო საკითხავი წიგნები მეცნიერების სხვადასხვა დარგში, მაგრამ რატომღაც ასეთი რამ არ გაგვაჩნია ფილოსოფიაში“.**

ჩანს, ეს კითხვა დიდხანს და სერიოზულად აწუხებდა ბატონ მიხეილს, არა მარტო მეცნიერსა და აღმზრდელს, არამედ როგორც პატრიოტ ქართველს. „ხშირად ჩვენი ახალგაზრდობა თავის მომავალ სპეციალობად ფილოსოფიას შემთხვევით ირჩევს და შემდგომში წინააღმდეგობებს აწყდება“, – წერს იგი დანანებით. და რადგან სხვა კოლეგებს ამ დეფიციტის შესავსებად არც აუცილებელი კითხვა დაბადებიათ და არც სურვილი, ყმაწვილებისადმი ამ უნებური დანაშაულის გამოსწორებას თვითონ შეეცადა. ახლა ხელთა გვაქვს **მიხეილ მახარაძის** 80-გვერდიანი წიგნი **„ფილოსოფია მოზარდთათვის“**, რომელიც „სასკოლო ბიბლიოთეკის“ სერიით **თინათინ დიდებულიძის** გამომცემლობა **„ელფიმ“** გამოსცა. როგორც ქალბატონმა თინათინმა ბრძანა, **წიგნი დღევანდელი პირობებისათვის საკმაო ტირაჟით სამჯერ დაისტამბა და მაინც ბესტსელერად იქცა.**

ეს უკვე „რაღაცას“ ნიშნავს, არა? ჩანს, „ჩიტი ბრდღვნად ღირდა“ – **მიხეილ მახარაძემ არა მარტო საჭირო და აუცილებელი საქმე გააკეთა, არამედ – კარგადაც გააკეთა!** წიგნის თავფურცელზე სერიოზული გაფრთხილებაა: „წაიკითხოს იმან, ვისაც სიძნელეებისა არ ეშინია“. საბედნიეროდ, მოზარდთა შორის ასეთები მრავლად აღმოჩნდნენ – რაკი სამჯერ გამოცემული წიგნი იშვიათობად იქცა, მასზე მოთხოვნილება დიდი ყოფილა!




რამდენჯერ გვსმენია გაღიზიანებული მოპაექრის რეპლიკა: „რას ფილოსოფოსობ!“ ან „რა გააჭირე საქმე შენი ფილოსოფოსობით!“ არადა, ამ გამოთქმაში არც გამაღიზიანებელია რაიმე და არც შეურაცხმყოფელი – ბერძნულად ფილოსოფია სიბრძნის სიყვარულს ნიშნავს! ხშირად გვებადება კითხვა „რატომ?“ ეს, თურმე, ფილოსოფიის ერთ-ერთი მთავარი კითხვა ყოფილა. **„როცა გაჩნდება კითხვა „რატომ“, იქ იწყება კიდეც ფილოსოფია“**, – გვეუბნება წიგნის ავტორი. და იმისათვის, რომ თავის ამ დებულებას მეტი დამაჯერებლობა და შესაბამისი ახსნა მისცეს, უამრავ მაგალითს იშველიებს. თვით წიგნი დაყოფილია 16 ქვეთავად. ეს აადვილებს საკითხის გასაგებად ახსნას და ამომწურავი პასუხის გაცემას.

როგორც მიხეილ მახარაძე გვამცნობს, დროთა განმავლობაში ფილოსოფიამ დაკარგა თავისი ადრინდელი მნიშვნელობა, ვინაიდან მას გამოეყო მეცნიერების სხვადასხვა დარგები – მათემატიკა, ისტორია, ფიზიკა, ქიმია, ასტრონომია... და იგი თითქოს „აღმოჩნდა მეფე ლირის მდგომარეობაში“. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით, ვინაიდან, სინამდვილეში ფილოსოფიას „თავისი შესწავლის საგანი გააჩნია“. სწორედ ამ საგნის ასახსნელად ავტორი გვთავაზობს უამრავ კითხვას – საკუთრივ: „რა არის ფილოსოფია?“ „რა არის მატერიალიზმისა და იდეალიზმის არსი?“ „რა არის ადამიანის კეთილი და ბოროტი ქცევის საფუძველი?“ „რატომ ვიქცევი ასე და არა სხვანაირად?“ „როგორ ყალიბდება ცოდნა?“ „რას ნიშნავს ცნობიერება?“, „რაში მდგომარეობს პლატონის იდეათა თეორიის არსი?“, „რა არის მეტაფიზიკა?“ და ა. შ. ეს კითხვები სწორედ ის „ბანგია“, რამაც მოზარდი პასუხის ძიებით უნდა დააინტერესოს. პასუხები კი აქვეა, საჭიროა მხოლოდ წიგნის ბოლომდე წაკითხვა...

**ვფიქრობ, რომ მიხეილ მახარაძემ საყმაწვილო ლიტერატურას თვალსაჩინო წიგნი შესძინა. ამ წიგნით უდავოდ უნდა დაინტერესდეს განათლების სამინისტრო.** იქნებ **„ფილოსოფია მოზარდთათვის“ სულაც სასკოლო პროგრამაში შეიტანონ? ამის საჭიროება დღეს განსაკუთრებით იგრძნობა, და რახან წიგნი ხელთა გვაქვს, საკითხის დადებითად გადაწყვეტა, ვგონებ, რთული არ უნდა იყოს.**

სხვათა შორის, ჩემი ეს მოსაზრება სავსებით დაადასტურეს ცნობილმა ფილოსოფოსებმა და პედაგოგ-აღმზრდელებმა **გურამ თევზაძემ, ლერი მჭედლიშვილმა, გერონტი შუშანაშვილმა, რევაზ ბალანჩივაძემ, ალეკო ბაკურაძემ, გუბაზ გოგიბერიძემ, შოთა ნადირაშვილმა, სესილი გოგიბერიძემ,** როცა გამომცემლობა „სამშობლოში“ წიგნის წარდგენა მოეწყო. ითქვა, რომ **მიხეილ მახარაძემ წარმატებით დაძლია ფილოსოფიის ტერმინთა მოზარდთათვის გასაგები ენით ახსნის სირთულე. როგორც მითხრეს, ბატონი მიხეილი მგავსი წიგნების შექმნას უმცროსი ასაკის ბავშვებისთვისაც აპირებს.** და რახან პირველი ცდა წარმატებით დაგვირგვინდა, ეჭვიც არ მეპარება, რომ ამ ჩანაფიქრსაც თავს დაადგამს.

წიგნს დართული აქვს „ფილოსოფოსთა საძიებელი“ (პითაგორა, სპინოზა, ვინდელბანდი, ფიხტე, კანტი, ლოკი, ფროიდი, პლატონი, დეკარტი, არისტოტელე, მამარდაშვილი, ჰეგელი, ნიცშე, ზურაბ კაკაბაძე, შალვა ნუცუბიძე, ივანე ჯავახიშვილი...) „ფილოსოფიურ ტერმინთა მოკლე ლექსიკონი“ და გამომცემლობა „ელფის“ ანკეტა („რა მოგეწონა?“ „რა არ მოგეწონა?“, „რაში დაგეხმარა ეს წიგნი“, „რა გინდოდა კიდევ რომ გაგეგო?“). ეს იმაზე მიუთითებს, რომ „ელფს“ სხვა გეგმებიც აქვს. მივესალმებით მის მონდომებას და კვლავაც წარმატებებს ვუსურვებთ.

**ელგუჯა ლებანიძე.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## მისტიკა თუ რეალობა?

# სიცოცხლე და წინასწარმეტყველება მიშელ ნოსტრადამუსისა



### სამეფო კარის თამაშები

1555 წელს ალმანახში ნოსტრადამუსი უკვე თვით მეფეს აფრთხილებდა. მონარქს შორს უნდა დაეჭირა თავი „ადამიანებისგან, რომლებსაც ისეთი რამ ჰქონდათ განზრახული, რის შესახებაც დაწერაც არ შეეძლო“. მალე გაირკვა, რომ ნოსტრადამუსის ალმანახებს ლუვრშიც კითხულობდნენ. მას უბრძანეს ხლებოდა მეფეს.

წინასწარმეტყველი გულდამძიმებული გაუდგა გზას. იგი თანამგზავრებთან საუბრისას ჩიოდა, რომ აგვისტოში ელოდა სერიოზულ საფრთხეს – შესაძლოა მისთვის თავი მოეკვეთათ. მაგრამ ყველაფერი პირიქით მოხდა. ნოსტრადამუსი უხვად დაასაჩუქრეს და მან მეფის წყალობა დაიმსახურა.

საფრანგეთის სამეფო კარზე ძალთა განლაგებაში სრული ქაოსი სუფევდა. 36 წლის ანრი მეორე ძალზე გულგრილი იყო თავისი ცოლის – ფლორენციელი ეკატერინე მედიჩის მიმართ. საფრანგეთის უგვირგვინო დედოფალად ითვლებოდა მეფის ფავორიტი დიანა დე პუატიე. ეს ქალბატონი განაგებდა ყველა საქმეს სახელმწიფოში – თვით იმასაც კი, თუ როდის უნდა გაეყო მეფეს სარეცელი დედოფალთან. ამბიციურ და პატივმოყვარე მედიჩის კი ასეთი რამ, რა თქმა უნდა, სულაც არ აძლევდა ხელს. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს მას ხელში ჩაუვარდა ნოსტრადამუსის წინასწარმეტყველება: „ორმოცი წლის განმავლობაში ცისარტყელა არ გამოჩნდება. მომდევნო ორმოცი წლის შემდეგ იგი ყოველთვის იქნება ცაზე“.

ეკატერინე მედიჩის, რომლის საგვარეულო გერბსაც ცისარტყელა ამშვენებდა, 1559 წელს 40 წელი შეუსრულდა. მან გადაწყვიტა გაეცნო ამ სტრიქონების ავტორი. ნოსტრადამუსის შესახებ დაწერილი არაერთი ბულვარული წიგნის ავტორები არაორაზროვნად მიანიშნებდნენ, რომ ნოსტრადამუსს ჰქონდა რომანი დედოფალთან. მაგრამ ამისთვის გვირგვინოსან მანდილოსანს ხომ შეეძლო გამოენახა გაცილებით შესაფერისი კანდიდატები, ვიდრე სიბერეშეპარული ასტროლოგი. მაგალითად, გვარდიის მამაცი კაპიტანი მონტგომერი, რომლის გვარიც კიდევ ამოტივტივდება ნოსტრადამუსთან დაკავშირებულ ისტორიებში.

არა, დედოფალს ნოსტრადამუსი სულ სხვა მიზნებისთვის სჭირდებოდა. მაგალითად, ეკატერინეს ოთხი ვაჟის ბედის წინასწარმეტყველებისთვის. როცა უფლისწულებს შეავლო თვალი, ნოსტრადამუსმა განაცხადა: ისინი ყველა, ერთი მეორის მიყოლებით, ავლენ საფრანგეთის ტახტზე. ეს ძნელი დასაჯერებელი იყო, მაგრამ დედოფალმა მაინც თავაზიანად გამოისტუმრა წინასწარმეტყველი. იქნებ, მას რაიმე პასუხსაგები მისიაც დააკისრა, რომლის შესახებაც ახლა მხოლოდ მკითხაობა თუ შეიძლება...

პარიზში გამგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე მან გამოსცა წიგნი „მ. ნოსტრადამუსის წინასწარმეტყველება“. წიგნი შედგება ოთხტაეპიანი წინასწარმეტყველური ლექსებით (კატრენები), რომლებიც ას-ასად არის დაჯგუფებული (ცენტურიებად). ორი წლის შემდეგ წიგნი ხელახლა გამოიცა და მასში შევიდა ახალი კატრენები. ერთ-ერთ ასეთ კატრენში აღწერილი იყო, თუ როგორ დაამარცხებდა ტურნირში ახალგაზრდა ლომი ბებერს, გამოთხრიდა მას თვალს. „ბებერ ლომში“ იგულისხმებოდა მეფე ანრი მეორე, რომელიც ცნობილი იყო იმით, რომ ხშირად მართავდა რაინდთა იმ დროისათვის უკვე დრომოჭმულ ტურნირებს.

1559 წლის 1 ივლისს კი, პარიზში გამართულ ტურნირზე, კაპიტანმა მონტგომერიმ შემთხვევით (იქნებ, შემთხვევითაც – არა) ჰკრა შუბი თავისი მეტოქის – მეფე ანრის მუზარადს, თანაც ისე, რომ შუბის ბუნიკი მეფეს თვალში შეესო. ორივეს ფარებს ლომის გამოსახულება ამშვენებდა. ათი დღის შემდეგ მეფე აღესრულა და ტახტზე ავიდა ფრანცისკი – მისი უფროსი ვაჟი. ქალბატონი დე პუატიე კი, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ ფავორიტი იყო, მოკვეთეს სამეფო კარიდან.

დედოფალი გამარჯვებას ზეიმობდა. ბოლოს და ბოლოს, დაიწყო მისი 40-წლიანი აღზევება, რომელიც ნოსტრადამუსმა იწინასწარმეტყველა.

### ომი – ომია

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ნოსტრადამუსის სიცოცხლის წლებში ახდენილი ეს ერთადერთი წინასწარმეტყველება არავის არ შეუნიშნავს. ობივატელები თაობიდან თაობას გადასცემენ უამრავ ლეგენდას მის შესახებ, მაგრამ ყველამ დაივიწყა „ორი ლომის“ ამბავი. ეს მხოლოდ ეკატერინე მედიჩს ახსოვდა. 1564 წელს იგი ეწვია ნოსტრადამუსს სალონში. დედოფალს თან ახლდა ახალგაზრდა მეფე შარლ მე-9, რომელმაც ტახტზე შეცვალა ფრანცისკ მეორე, გამეფებიდან ერთი წლის შემდეგ რომ აღესრულა.

წინასწარმეტყველება კი ახდა: მოგვიანებით შარლი შეცვალა ანრი მესამემ, და მხოლოდ მეოთხე ძმამ ვეღარ მოასწრო საფრანგეთის ტახტის დაკავება.

იმ დროისათვის საფრანგეთში სრული ქაოსი სუფევდა. სამეფო ოჯახის მიერ ფულის ფლანგვამ დააცარიელა ქვეყნის ხაზინა და გამოიწვია გადასახადების ზრდა. გვირგვინოსანთა ასეთი მოქმედების გამო უკმაყოფილო ხალხი ავსებდა პროტესტანტ-ჰუგენოტების ბანაკს. მაგრამ დედოფალს სიტყვის გაგონებაც კი არ სურდა რაიმე დათმობაზე: „ერეტიკოსებს ცეცხლითა და მახვილით უნდა გავუსწორდეთ“. 1562 წელს დაიწყო ომი, რომელიც, მცირეოდენი შესვენებებით, თითქმის ორმოცი წლის განმავლობაში მძვინვარებდა საფრანგეთში.

ხსნა არსაიდან ჩანდა. ერთხელ ნოსტრადამუსის სახლის ფანჯრების წინ შეიკრიბა უამრავი ხალხი, რომლებიც დარწმუნებულები იყვნენ, რომ იგი ჰუგენოტი იყო და მოითხოვდნენ მისი სიკვდილით დასჯას. მხოლოდ სასწაულს შეიძლება მივაწეროთ ის, რომ მაშინ მოხერხდა ფანატიკოსთა ბრბოს დაშლა. ხოლო როცა ეს ადამიანები კვლავ მივიდნენ ნოსტრადამუსის სახლთან, წინასწარმეტყველი თავისი ოჯახის წევრებთან ერთად უკვე ავინიონისაკენ მიემგზავრებოდა...

იგი შეშფოთებული ფიქრობდა იმაზე, რომ მისი წინასწარმეტყველება ახდებოდა. არადა, ნოსტრადამუსი მკაფიოდ ხედავდა, რომ ქვეყანაში ასეთი არეულობა კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა. თვით დედოფლის მფარველობაც კი არ იძლეობა მისი უსაფრთხოების გარანტიას... შემოდგომაზე ნოსტრადამუსი შინ დაბრუნდა – და იგი დააპატიმრეს პროვანსის გუბერნატორის ბრძანებით. წინასწარმეტყველი ერთი კვირის შემდეგ გაათავისუფლეს, მაგრამ ნესტიან ჯურღმულში ყოფნამ გაუმწვავა ძველი ავადმყოფობა.

სამი წლის შემდეგ, როცა ეკატერინე მედიჩი კვლავ მოგზაურობდა პროვანსში, მან ვერც კი იცნო დედოფლის შესახვედრად გამოსული ნოსტრადამუსი. ეს მუდამ წელში გამართული, ტანმაღალი კაცი, რომლის სახესაც შავი წვერი ამშვენებდა, გაჭაღარავებულ მოხუცად გადაქცეულიყო. მედიჩის არ დავიწყებია ის სამსახური, რომელიც მას ნოსტრადამუსმა გაუწია, და იგი, მეფის ლეიბ-მედიკოსად დანიშნეს. მაგრამ, სასახლის კარზე აღარ მიუწევევიათ. არადა, დიდი დღე ნოსტრადამუსს აღარ ეწერა. 1566 წლის ზაფხულში, მას გაუმწვავდა ართრიტი. გულმა ვეღარ გაუძლო ავადმყოფობის შემოტევას. ნოსტრადამუსი ექიმი იყო და კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ აღსასრული ახლოვდებოდა. მან დაასრულა უკანასკნელი ალმანახი და შვილებს გაუნაწილა მთელი ქონება და წიგნები...

1 ივლისს საღამოს, როცა მისმა მდივანმა შევინიიმ მშვიდობიანი ღამე უსურვა, ნოსტრადამუსმა უპასუხა: „დილა ჩემთვის აღარ გათენდება“. და მართლაც, გამთენიისას მან განუტევა სული.

### ცხოვრება სიცოცხლის შემდეგ

ნოსტრადამუსი გარდაიცვალა, მაგრამ მითი მის შესახებ მხოლოდ იბადებოდა. მისმა ვაჟმა სეზარმა დაწერა მამის ბიოგრაფია და დახატა მისი პორტრეტი. ნოსტრადამუსის არც ერთ შვილს არ დაჰყვა წინასწარმეტყველების ნიჭი, თუმცა, ალმანახები ნოსტრადამუსის ხელმოწერებით კვლავ გამოიცემოდა. როგორც გაირკვა, მათ წერდა ერთი თვითმარქვია, რომელიც თავს განსვენებულის შვილად ასაღებდა. „ცრუ-ნოსტრადამუსმა“ იწინასწარმეტყველა ხანძარი და თავისი წინასწარმეტყველების დასამტკიცებლად, თვითონ სცადა ცეცხლის გაჩენა, რისთვისაც დასაჯეს კიდეც სიკვდილით.

შესაძლოა, ეს ლეგენდა იყოს. ისევე როგორც გადმოცემა იმის თაობაზე, რომ მკრეხელები, რომლებმაც შეურაცხყვეს ნოსტრადამუსის საფლავი, მალე დაიღუპნენ საშინელი სიკვდილით. წინასწარმეტყველის საფლავი მართლაც გათხარეს საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს. ვინმე სანკიულოტს, თურმე ღვინოც კი შეუსვამს წინასწარმეტყველის თავის ქალიდან. მაგრამ მისი ნეშტი გადარჩა. იგი ამჟამად განისვენებს სალონის წმინდა ლავრენტის ეკლესიის კედელში. რატომ კედელში? გადმოცემისამებრ, ჩვენს გმირს ანდერძში აღუნიშნავს, რომ იგი დაემარხათ ფეხზე მდგომი, რათა ღირსეულად შეხვედროდა განკითხვის დღეს.

მაინც, ვინ იყო ნოსტრადამუსი? ექიმი? მან ხომ უარი თქვა ამ პროფესიაზე. ასტროლოგი? მის მიერ შეძენილი ჰოროსკოპები შეცდომებით არის სავსე. მან ხეირიანად ვერ გამოთვალა პლანეტის განლაგება ცაზე. ერთნი მას ასტროლოგს კი არა ასტროფილს – ვარსკვლავებზე შეყვარებულს უწოდებდნენ, მეორენი კი გენიალურ კულისებსიქითა პოლიტიკოსად მიიჩნევდნენ. მაგრამ პოლიტიკაზე გავლენას ახდენდა არა თვით ნოსტრადამუსი, არამედ მისი წინასწარმეტყველება.

იგი ხშირად სცდებოდა, როცა ცდილობდა ეწინასწარმეტყველებინა თუ რა მოხდებოდა მომავალ წელს. სამაგიეროდ, შეძლო ისეთი მოვლენების გამოცნობა, რომლებიც მისი გარდაცვალებიდან ასეული წლების შემდეგ მოხდებოდა.

### მკითხაობა კატრენებით

დღეს, ალბათ, ნებისმიერ წიგნის მაღაზიაში შეიძლება ვნახოთ ნაშრომები, რომელთა ავტორებიც ნოსტრადამუსთან პოულობენ თითქმის ყველა მოვლენის განჭვრეტას – იქნება ეს პრინცესა დიანას დაღუპვა, თუ რუსეთში მომავალი არჩევნების შედეგები. ისინი ამტკიცებენ, რომ იციან რაღაც საიდუმლო კოდი, რომლის მეშვეობითაც შეუძლიათ ქრონოლოგიური წესით დაალაგონ კატრენები და შეიტყონ, თუ რა მოხდება მომავალში.

მაგრამ ყოველივე ეს სხვა არაფერია, თუ არა სტრიქონების გადაადგილება, სიტყვების შეცვლა, სახელებითა და დასახელებებით ჟონგლიორობა. აი, როგორი სახით გაავრცელეს ინტერნეტში მე-10 ცენტურიის 72-ე კატრენი 2001 წლის 11 სექტემბრის ყველასათვის ცნობილი მოვლენების შემდეგ: „ახალი საუკუნის მე-9 თვეში ციდან დაეშვება საშინელებათა დიდი მეფე, იგი ააღორძინებს დიდ მონღოლებს და მოუტანს ომს ბედნიერ ქვეყნებს“. სინამდვილეში კი, ყოველივე ეს აი ასე ჟღერს: „1999 წლის მეშვიდე თვეში (დიდი ზეციური მეფე – დამშინებელი) ააღორძინებს ანგოლმუას დიდ მმართველს, რომელიც მარსამდე და მის შემდეგაც მართავს ყოველივე ბედნიერს“.

სხვაობა აშკარაა. „ანგლომუა“ არ არის არც „მონღოლეთი“ და არც „აღმოსავლეთი“, როგორც ამას ზოგიერთი ვაი-განმმარტებელი ქადაგებს. ეს არის ანგუმუა, საფრანგეთის ერთ-ერთი საგრაფო. და, მეხსიერება თუ არ გვღალატობს, არც მისი რომელიმე „მმართველი“ აღმდგარა მკვდრეთით 1999 წელს.

თუმცა, ასეთი რამ ნოსტრადამუსის კატრენების გამოყენებით პირველად როდი ხდება. ნაპოლეონთან ომის დროს, ინგლისელებმა გაავრცელეს მათ მიერ „რედაქტირებული“ კატრენები, რომლებშიც საფრანგეთის იმპერატორი ანტიქრისტესთან იყო გაიგივებული. ნაცისტური გერმანიის დაზვერვის შეფმა შელემბერგმა კი თავის მემუარებში აღიარა, რომ 1940 წელს, პარიზის დაცემის წინ, გერმანელებმა ქალაქში ჩამოყარეს ფურცლები, რომლებზეც დაბეჭდილი იყო „შეკვეცილი“ კატრენი. მასში კერძოდ, აღწერილი იყო, თუ როგორ დაიღუპებოდა დედაქალაქი „ზეციური ცეცხლისგან“, და პარიზელებს, ვითომ ურჩევდა ნოსტრადამუსი სამხრეთ-დასავლეთისკენ გაქცეულიყვნენ. კატრენის „მთარგმნელთა“ ჩანაფიქრით, ლტოლვილთა ნაკადებს საფრანგეთის ჯარების უკანასკნელი წინააღმდეგობის სრული პარალიზება უნდა მოეხდინათ.

ნოსტრადამუსის ბურუსით მოცული მოძღვრება გვაძლევს საშუალებას ისე განვმარტოთ „წინასწარმეტყველება“, როგორც მოგვესურვება. იგი ისტორიულ მოღვაწეებს არქმევს გარდასულ დროთა გმირების სახელებს, თანაც, ამ სახელებშიც ასოებს უცვლის ადგილს. იგივე ხდება გეოგრაფიულ დასახელებებთან დაკავშირებითაც. რუსეთში ნოსტრადამუსის მოძღვრების ერთ-ერთი საუკეთესო მცოდნე ალექსი პენზენსკი აღნიშნავს, რომ კატრენებში გამოყენებულია ანტიკური ციტატები ანტიკური ნაწარმოებებიდან, წინასწარმეტყველს არცთუ უსაფუძვლოდ, მიაჩნია, რომ ისტორია ხშირად მეორდება. თანაც, ძნელია შეცდე, როცა წინასწარმეტყველებ ომებს, ხანძრებს, წყალდიდობებსა თუ სხვა სტიქიურ მოვლენებს მაშინ, როცა არ მიუთითებ ზუსტ დროსა და ადგილს.

### ახალმა ბაბილონმა 73 წელი იარსება

და მაინც, „წინასწარმეტყველებაში“ ზოგი რამ ძნელია მარტო მოვლენათა დამთხვევით ავხსნათ. აქ არ ვგულისხმობთ იმას, რომ შუბით გამოთხარეს თვალი ანრი მეორეს – ამ წინასწარმტყველების აზრი საკმაოდ ბუნდოვანია. თანაც, იქნებ ყოველივე ეს „შეკვეთილი“ იყო? ინტრიგების დიდოსტატს ეკატერინე მედიჩს ხომ შეეძლო უზრუნველეყო „მისტიკური გამართლება“ თავისი შეთქმულებისათვის... მაგრამ რა შეიძლება ითქვას ნოსტრადამუსის წერილიდან ამოღებულ ასეთ ციტატაზე; „ოქტომბრის თვეში მოხდება დიდი გარდაქმნა... წარმოიქმნება ახალი ბაბილონი... იგი იარსებებს 73 წლისა და 7 თვის მანძილზე... დამყარდება ცოფიანის მეფობის ხანა, რომელიც ბრძენკაცის სახელით შეინიღბება... შემდეგ კი მოვა დიდი მოდარაჯე ძაღლი. რომელიც დაანგრევს ყველაფერს, იმასაც კი რაც უკვე დანგრეული იყო... ოლქები, რომლებიც გადაუხვევენ თავიანთ გზას, რათა თავისუფლები გახდნენ, კიდევ უფრო მეტად აღმოჩნდებიან დამონებულები... და მაშინ, როცა ყველაფერი მთლად გაპარტახდება, მბრძანებლები წაართმევენ ქოფაკს ორ ხმალს... ხალხი აიძულებს მას წავიდეს პირდაპირ, არ დაემორჩილოს მოწინააღმდეგეს, რომელსაც ზემოთ ექნებათ აღმართული ხელი...“ ძალზე ზუსტად არის აღწერილი რუსეთის რევოლუცია, ლენინი, სტალინი და ომი „ნაცისტებთან“, რომლებსაც „ზემოთ აქვთ აღმართული ხელი“. ვადაც სწორად არის გამოცნობილი – 73 წელიწადი და 7 თვე გავიდა 1918 წლის იანვრიდან, 1991 წლის აგვისტომდე. რა თქმა უნდა, ნოსტრადამუსი არ ახსენებს სიტყვა „რუსეთს“. რუსეთი მისთვის არის „სარმატეთი“ ან „აკვილონი“.

მაინც, რაშია საქმე? ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავს, რომ არაფერი საიდუმლო არ არის და ყოველივე ამის ახსნას უნდა ველოდოთ ალბათობის თეორიაში. ნოსტრადამუსის მემკვიდრეობა დიდია: „წინასწარმეტყველების“ 10 წიგნი შეიცავს 942 ოთხტაეპიან ლექსსა და მრავალ ალმანახს. პროგნოზების 2-3 პროცენტი, შესაძლოა, წმინდა შემთხვევითობის წყალობით ახდა. თანაც, არც ის არის ძნელი რომ, ეს იდუმალებით მოცული სტრიქონები „მოვარგოთ“ ამა თუ იმ უკვე მომხდარ მოვლენას. ჯერ ხომ, ვერავინ ვერ შეძლო „ნოსტრადამუსის „მიხედვით ეწინასწარმეტყველებინათ თუნდაც ერთი მოვლენა მომავალში. ეს სცადეს ზოგიერთებმა, რომლებიც აცხადებდნენ, რომ სამყაროს დასასრული დადგებოდა 1990 წელს, შემდეგ კი 2000 წელსო, მაგრამ ამაოდ.

ივან იზმაილოვი.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 49.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

# მარტის ასტროლოგიური კალენდარი



| თვის დღეები | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 | 31 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვერძი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| კურო | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ტყუპები | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| კიბო | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ლომი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ქალწული | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| სასწორი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ღრიანკალი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| მშვილდოსანი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| თხის რქა | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| მერწყული | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| თევზები | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| მთვარის დღეები | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

გამოიჩინეთ მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ ახლობლებთან ურთიერთობისას.

მოვლენათა უეცარი შემობრუნების წყალობით გელით ფრიად პერსპექტიული წინადადებები.

მოერიდეთ ურთიერთობებს უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე.

ნუ გარისკავთ, გაუფრთხილდით ჯანმრთელობას!

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლინება.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა, მოერიდეთ ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

გაფრთხილდით, კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. ახალ საქმეს ნუ წამოიწყებთ.

შრომისუნარიანობის ამაღლების შედეგი თქვენს შრომისმოყვარეობაზეა დამოკიდებული.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

შესაძლოა გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს, უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება. შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით გულმოწყალენი.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 50, კვირა, 29 თებერვალი, 2004 წელი.

## ორშაბათი
### 1 მარტი

**07.30** ალიონი **16.45** ოქროს მართვე **17.15** რამპა **17.20** საქართველო, დრო, მოვლენები **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" **18.30** სერიალი **"წვრილვარსკვლავთა ღამე"** 1-ლი ს. **19.00** მრავალჟამიერ **19.25** "იმღერე რამე" **20.00, 23.00** მოამბე **21.05** ბასტი-ბუბუ **21.20** სერიალი **"სოლედადი"** **22.10** "სტუმრად მსახიობთა სტუდიაში" (სტივენ სპილბერგი) **23.30** მხ. ფილმი **"ლედი კაროლინა ლემი"**

**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტსერიალი "პაპი-რუსის თავგადასავალი" **19.35** კინოსეანსი **"სანუკვარი ოცნებები"** **21.15** ხელოვნების სცენარები **21.30** მოგზაურობა სასიტყვეთში **22.10** მხ. ფილმი **"თორმეტი სკამი"** მე-2ს.

**07.00** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუცები" **09.40** სერიალი **"შურისძიება"** **11.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.10** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** ბუნდეს ლიგა **16.30** სერიალი **"მაშველები"** **17.30** პერეკროსტოკი **18.20** "ტელელიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი **"შურისძიება"** **22.00** სერიალი **"ჯაშუში"** **22.50** ღამის კურიერი **23.50** მხ. ფილმი **"დამიჭირე თუ შეგიძლია"**. მთ. რ-ში: ტომ ჰენკსი, ლეონარდო დი კაპრიო.

**08.00** ანონსი, მულტფილმი **08.05** მხ. ფილმი **10.20** მხ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.30** დოკ. ფილმი **18.00** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფილმი **21.00** დოკ. ფილმი **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი

**07.00, 12.00, 13.00** ქრონიკა **07.10, 11.20, 13.15, 17.20, 02.05** იმედის მელოდიები **08.00** "იმედის"დილა **10.10** "დროება" **11.30** "ერთხელ ჰოლივუდში" **12.10** სერიალი **"კლონი"** **13.30** "ლარის მახე" **14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** ქრონიკა **14.05** სერიალი **"კლონი"** **15.15** მხ. ფილმი **"ურჩხულთა მეჯლისი"** **17.25** X -კლუზივი **18.05** სერიალი **"სიყვარული უდაბნოში"** **19.00, 21.00, 22.00, 01.45** ქრონიკა **19.30** სერიალი **"კლონი"** **20.30** სერიალი **"ნეშ ბრიჯისი"** **21.30** სპორტ. პროგრამა "გოლი" **22.50** "ოსკარის" დაჯილდოვების 76-ე ცერემონიალი **00.50** სპ. პროგრამა "გოლი სერია "ა"

